

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



# დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში

(საქართველოში არსებული კანონმდებლობა,  
პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები)

თბილისი  
2016

კვლევის ავტორი: **გოგა სატიაშვილი**

რედაქტორი: **სათუნა ყვირალაშვილი**

ტექ. რედაქტორი: **ირაკლი სვანიძე**

გამოცემაზე პასუხისმგებელი: **ანა ნაცვლიშვილი**

კვლევის მომზადების პროცესში  
მონაწილეობა მიიღო: **გვანცა ლაშხია**



აინყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ. 15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ვებ-გვერდი: [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)  
ელ-ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge)

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით,  
ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

# შინაარსი

წინასიტყვაობა .....	4
I. შესავალი .....	5
II. მეთოდოლოგია .....	5
III. დაზარალებულის უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით .....	6
1. დაზარალებულის პროცესუალური როლი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით .....	6
2. 2010 წელს მიღებული ახალი რეგულაციების მიმოხილვა .....	7
3. დაზარალებულის უფლებების გაფართოების მცდელობა - 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებები .....	8
4. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით .....	9
4.1. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი და პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები .....	9
4.1.1. დაზარალებულად ცნობისა და გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით .....	12
4.1.2. საქართველოში არსებული პრაქტიკისა და სტატისტიკის ანალიზი გასაჩივრების უფლებასთან მიმართებით .....	13
4.1.2.1. გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან .....	13
4.1.2.2. გასაჩივრება სასამართლოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ....	15
4.2. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება .....	16
4.3. დაზარალებულის დაცვა ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან .....	18
4.4. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას .....	18
5. დაზარალებულები სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე .....	20
IV. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა - საერთაშორისო გამოცდილება .....	23
1. საერთაშორისო ხედვა დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით .....	23
2. დანაშაულის მსხვერპლის ცნება .....	23
3. დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივ დევნის განხორციელების პროცესში .....	24
4. დაზარალებულის უფლება ინფორმირებული იყოს სისხლის სამართალწარმოების შესახებ .....	25
5. დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მექანიზმები .....	26
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის შედეგად დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით .....	26
7. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (რეპარაციები) .....	27
V. დაზარალებულის უფლებები აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით .....	28
VI. დასკვნა და რეკომენდაციები .....	29

## წინასიტყვაობა

უფლებადაცვითი ორგანიზაციისა და მისი წარმომადგენლისთვის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე რეალობას წარმოადგენს ის გარემოება, როდესაც დაჩაგრული და სამართალწართმეული ადამიანი საშველად მოგმართავს, მაგრამ დახმარება თითქმის არ შეგიძლია, რადგან კანონი ამის საშუალებას არ გაძლევს. ასეთია შემთხვევები, როდესაც ჩვენთან მოდიან სავარაუდო დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირები ან მათი უფლებამონაცვლეები და გვთხოვენ საქმეში ჩართვას. მაშინაც კი, როდესაც საიას ხელთ არსებული რესურსის გათვალისწინებით, შეგიძლია, წარმოვადგინოთ დაზარალებულის ინტერესები გამოძიების პროცესში და სასამართლოზე, ეს სტატუსი თითქმის არ გვანიჭებს სამართლებრივ ბერკეტებს საქმის ბედზე გავლენის მოსახდენად. პრობლემა, დიდწილად, კანონმდებლობაშია.

ინკვიზიციურიდან შეჯიბრებით სისტემაზე გადასვლამ საქართველოში დაზარალებულის უფლებები მნიშვნელოვანწილად შეკვეცა. ნაცვლად სისხლის სამართლის პროცესში მხარის სტატუსისა, დაზარალებული გადაიქცა მხოლოდ და მხოლოდ პროცესის მონაწილედ. საგულისხმოა ისიც, რომ პრაქტიკაში ხშირად დაზარალებულები იმ უფლებებითაც კი ვერ სარგებლობენ, რომლებსაც მათ კანონი ანიჭებს. წინამდებარე კვლევაში მოტანილი არაერთი მაგალითი აჩვენებს, რომ შესაბამის პირებს უარს ეუბნებიან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე, ხოლო მათ, ვისაც ასეთი სტატუსი აქვთ, ხშირ შემთხვევაში, არასრულად, დაგვიანებით ან საერთოდ არ მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, რაც დაზარალებულების და მათი უფლებამონაცვლეების ჩართულობას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მინიმუმამდე ამცირებს. დაზარალებულთა ჩართულობის გარეშე გამოძიების ლეგიტიმაცია ხშირად, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, ასევე, ჩრდილი მიადგეს ნდობას მართლმსაჯულების იდეის და, ზოგადად, სახელმწიფოს მიმართ.

ეს რეალობა გვაქვს იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოთა პრაქტიკა აღიარებს დაზარალებულის უფლებების აღდგენას, როგორც მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, ხოლო მათ უფლებებს, როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას. დაზარალებული წარმოადგენს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს გაეროს სავალდებულო და არასავალდებულო ხასიათის დოკუმენტების, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული და ინტერ-ამერიკული სასამართლოების კანონმდებლობისა და პრეცედენტული სამართლის მიხედვით. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დაზარალებულის უფლებებს ევროკავშირის სამართალშიც.

წინამდებარე კვლევის მიზანია, სისტემურად და პრაქტიკაში გამოვლენილი სირთულეების ფონზე გაანალიზდეს, თუ როგორია დანაშაულით დაზარალებული პირების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში. ეს არის ამ სახის პირველი კვლევა აღნიშნულ საკითხზე მას შემდეგ, რაც საქართველო ინკვიზიციური სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან შეჯიბრებით სისტემაზე გადავიდა. ამასთან, კვლევის მიზანია, გავანალიზოთ არა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ჩარჩო, არამედ, ასევე, დავინახოთ დაზარალებულთა მიერ უფლებებით სარგებლობის რეალური სურათი პრაქტიკაში.

კვლევა აჩვენებს, რომ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს კანონმდებლობა და პრაქტიკა დაზარალებულთა უფლებებთან მიმართებით. ისევე, როგორც მიუღებელია, რომ მართლმსაჯულების იდეას წარმოადგენდეს შურისძიება დაზარალებულის მიერ ან მისი სახელით, ასევე მიუღებელია მართლმსაჯულების განხორციელება დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანის აღიარების და დარღვეული უფლებების აღდგენის გარეშე. ამიტომ ვერ იქნება გამართლებული ის მდგომარეობა, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით და პრაქტიკით დაზარალებულს აქვს საქართველოში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აქტიურად გააგრძელებს ცვლილებების ადვოკატირებას დაზარალებულთა უფლებებისთვის. ამ კვლევით, გვსურს, დაზარალებულთა ხმა მივაწვდინოთ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ორგანოს, ასევე - პროფესიულ წრეებს, მედიას და ფართო საზოგადოებას. იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე კვლევა, რომელიც მომზადებულია საზოგადოებრივ საწყისებზე, ფართო ინტერესის საგანი გახდება და ხელს შეუწყობს დაზარალებულთა უფლებების გაზრდისა და პატივისცემის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვას.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, დაზარალებულსა თუ მათ უფლებამონაცვლეებს, რომლებიც, მიუხედავად დანაშაულის შედეგად მიყენებული დიდი ტრავმებისა, ხშირად ურთულესი ფსიქოლოგიური თუ ემოციური მდგომარეობისა, ახერხებენ ჩვენამდე მოსვლას სიმათლისა და სამართლიანობის საძიებლად. მათი შემართება და ბრძოლის უნარი არის ის, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, გავიაზროთ და სხვებსაც დავანახოთ არსებული პრობლემები, ვიმზროთ ცვლილებებისთვის - ამ ადამიანების და სხვების უფრო უსაფრთხო და ღირსეული მომავლისათვის.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი

## I. შესავალი

2010 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მთლიანად შეცვალა სისხლის სამართალწარმოების სისტემა. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, ინკვიზიციური პროცესის ნაცვლად, მხარეთა შეჯიბრებითობაზე დაფუძნებული სისხლის სამართლის სისტემა დამკვიდრდა.

სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა მრავალი პროგრესული სიახლე გაითვალისწინა. საქართველომ აირჩია შეჯიბრებით პროცედურებზე დაფუძნებული საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მოდელი, რომელიც მიზნად ისახავს დაცვის მხარის პოზიციების განმტკიცებასა და ბრალდებულისათვის მეტი გარანტიების უზრუნველყოფას.

რეფორმა შეეხო დაზარალებულის უფლებებსაც. სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა გამოიწვია დაზარალებულისათვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევა და მისი უფლებრივი მდგომარეობა შეიცვალა პროცესის მონაწილის სტატუსით.

თუკი დაზარალებული მრავალი წლის განმავლობაში გვევლინებოდა სისხლის სამართლის პროცესის აქტიურ მხარედ, რომელსაც ფართო უფლებამოსილება გააჩნდა, დღეს არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მისი უფლებამოსილებები მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა, დაზარალებულის აღნიშნული მდგომარეობა არ შეესაბამება სისხლის სამართლის თანამედროვე პოლიტიკასა და საერთაშორისო მდგომარეობას.

დაზარალებულის, როგორც პროცესის მონაწილის როლი არსებითად შეიცვალა და მნიშვნელოვნად შემცირდა მისი ინტერესების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები. შედეგად მივიღეთ ის, რომ პროკურორის თითქმის შეუზღუდავი დისკრეციის პირობებში სისხლის სამართალწარმოების გზით დაზარალებულისათვის რაიმე სახის რეაბილიტაციის ან სამართლიანობის მიღწევა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, დაზარალებულს არ აქვს საკანონმდებლო ბერკეტები, დაიცვას თავისი უფლებები.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეაფასოს 2010 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც, დაზარალებული აღარ მოიაზრება პროცესის მხარედ და მხოლოდ მინიმალური სამართლებრივი გარანტიებით სარგებლობს, ასევე, მიმოიხილოს 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებები, რომელმაც სცადა, უკეთესად მოეწესრიგებინა დაზარალებულის უფლებები. კვლევა მიზნად ისახავს, გაანალიზოს, რა ხარვეზები და გამოწვევები ახლავს თან აღნიშნული ახალი რეგულაციების პრაქტიკაში რეალიზებას და, კონკრეტული მაგალითებისა და სტატისტიკის საფუძველზე, იმსჯელოს, როგორ აისახა ეს დაზარალებულის უფლებებსა და მის მონაწილეობაზე სისხლის სამართალწარმოების პროცესში. ამასთან, ინსტიტუტის სრულფასოვნად გააზრების მიზნით, განხილულია დაზარალებულის სტატუსი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

## II. მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესწავლასა და ანალიზს. კერძოდ, საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან წარმოდგენის მიზნით, კვლევა მოიცავს, საუკეთესო პრაქტიკებისა და რეფორმების ანალიზს და სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული ნორმების შედარებით მონაცემებს. ასევე, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით მოპოვებული/მიღებული ინფორმაციის/განაჩენებისა და საიას მიერ შესწავლილი საქმეების განხილვას,<sup>1</sup> სადაც საიამ გასწია სამართლებრივი დახმარება თუ კონსულტაცია. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი დასკვნები და მიგნებები, ძირითადად, ამ დაკვირვებებს ეფუძნება. აგრეთვე, შედგა ჩაღრმავებული ინტერვიუები პრაქტიკოს იურისტებთან,<sup>2</sup> რომლებმაც ისაუბრეს მათ პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებზე, ასევე, პრობლემის გადაჭრის გზებზე. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხაზს უსვამს, ცალკეულ შემთხვევებში, არსებულ პრაქტიკულ თუ საკანონმდებლო ხარვეზებს.

პროცესში გამოვლენილ ხარვეზებზე დაყრდნობით მოვამზადეთ შესაბამისი რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია კვლევის ბოლოს. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მის ეფექტურ მონაწილეობას სისხლის სამართალწარმოების პროცესში სისხლის სამართლის შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით.

<sup>1</sup> ანგარიშში მოყვანილი საქმეები ასახავს 2016 წლის მაისის ჩათვლით არსებულ გარემოებებს.

<sup>2</sup> ეკატერინე ხუციშვილი, სახალხო დამცველის აპარატი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი; ლევან ვეფხვაძე, საიას ადვოკატი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; ჯემალ ჭკადუა, საიას ადვოკატი.



### III. დაზარალებულის უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

#### 1. დაზარალებულის პროცესუალური როლი 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც კონტინენტური სამართლის პრინციპებს განამტკიცებდა, საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნასთან ერთად სუბსიდიურ, კერძო-საჯარო და კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასაც ითვალისწინებდა.<sup>3</sup> სისხლის სამართლის პროცესის ამოცანა, პროცესის სხვა მონაწილეებთან ერთად, იყო დაზარალებულის ინტერესებისა და უფლებების დაცვა.<sup>4</sup> სისხლის სამართლის პროცესის განმახორციელებელი ორგანო შეზღუდული და, გარკვეულწილად, დამოკიდებული იყო დაზარალებულის ქმედებებსა და შეხედულებებზე. კერძოდ, დაზარალებული იყო მხარე და იცავდა ბრალდების პოზიციას. დაზარალებულის უფლებები იმდენად ფართო სპექტრის იყო, რომ შეეძლო, **სუბსიდიური ბრალმდებელიც** კი ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართალწარმოების განხორციელების პროცესში პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე, მაგრამ დაზარალებული არ დაეთანხმებოდა, საქმე არ წყდებოდა და სისხლის სამართლის საქმეზე ბრალმდებლის როლში დაზარალებული გამოდიოდა. გარდა ამისა, კერძო ბრალდების საქმეებზე (როგორებიცაა: სსკ-ის 125-ე მუხლი - ცემა, 120-ე მუხლი - ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება) სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდებოდა მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით და, როგორც წესი, წყდებოდა ბრალდებულთან მისი შერიგების შემთხვევაში. ამასთან, შერიგება დასაშვებ იყო მხოლოდ მოსამართლის სათათბირო ოთახში გასვლამდე, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. შერიგებისას მხარეები უნდა შეთანხმებულიყვნენ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარჯებს სასამართლო ანაწილებდა.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ კერძო ბრალდების საქმეებზე ერთმანეთს კერძო პირები უპირისპირდებოდნენ, შესაძლებელი იყო, პროკურორს მიეღო მონაწილეობა აღნიშნული საქმის განხილვაში საჯარო პირის სახით სასამართლო გამოძიების სტადიამდე. აღნიშნული შესაძლებლობა სამ შემთხვევაში არსებობდა: თუ ამას მხარეები მოითხოვდნენ წერილობითი ფორმით, თუ დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი წერილობითი სახით მოითხოვდა საქმეში პროკურორის ჩართვას და თუ საქმეს ჰქონდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობა.<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ კერძო ბრალდებაში მონაწილეობა წარმოადგენდა პროკურორის უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი კერძო ბრალდების პროცესში ჩაერთვებოდა საქმის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო, მიუხედავად მხარეთა შერიგებისა, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდებოდა და პროკურორი ახორციელებდა სახელმწიფო ბრალდებას.

გარდა აღნიშნული უფლებებისა, ყველა სახის სისხლისსამართლებრივი დევნის პირობებში, დაზარალებულს შეეძლო: **წარედგინა მტკიცებულებები,<sup>7</sup> გაესაჩივრებინა განაჩენი** სააპელაციო და საკასაციო წესით,<sup>8</sup> **განეცხადებინა აცილება,<sup>9</sup> მონაწილეობა მიეღო თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში.<sup>10</sup>** საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა **სამოქალაქო სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას** სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ პირი დაზარალებულად ცნობის შემდეგ წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს, პროცესის მწარმოებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოჰქონდა დადგენილება (განჩინება) დაზარალებულის სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ, ხოლო თუ პირი დაზარალებულად ცნობამდე წარადგენდა სამოქალაქო სარჩელს, მაშინ პროცესის მწარმოებელი ორგანო (თანამდებობის პირი) უფლებამოსილი იყო: მიეღო ერთი დადგენილება (განჩინება), სადაც პირს ერთდროულად მიანიჭებდა როგორც დაზარალებულის, ისე სამოქალაქო მოსარჩელის სტატუსს, ან გამოეტანა ცალ-ცალკე დადგენილებები (განჩინებები) პირის დაზარალებულად და სამოქალაქო მოსარჩელედ ცნობის შესახებ.<sup>11</sup>

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ **დადგენილება გამოჰქონდა პროკურორს ან გამომძიებელს.** აღსანიშნავია, რომ **დაზარალებულად ცნობის უფლება ჰქონდა პირველი ინსტანციის მოსამართლესაც** სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მაგრამ სასამართლო კამათის დაწყებამდე.

<sup>3</sup> სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), მეორე გამოცემა, რ. გოგშელიძის რედაქტორობით, თბილისი, 2009, 46.

<sup>4</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 1.

<sup>5</sup> 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 27.

<sup>6</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 27, მე-4 ნაწილი.

<sup>7</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 69, „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>8</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 69, „ნ“ ქვეპუნქტი.

<sup>9</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 69, „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>10</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წლის მდგომარეობით, მუხლი 69, „ი“ ქვეპუნქტი.

<sup>11</sup> ზ. მეთევილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2007, 184.

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა **დაზარალებულის წარმომადგენლის ინსტიტუტსაც**. გათვალისწინებული იყო დაზარალებულის ინტერესების დაცვა წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში ადვოკატის მონაწილეობით. იმავდროულად, კანონმდებლობა არ ზღუდავდა დაზარალებულს, რომ შეერჩია რამდენიმე ადვოკატი.<sup>12</sup> ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენდა ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას იმ შემთხვევაში, როდესაც: დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუუნარიანი; დაზარალებულს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო საკუთარი ინტერესების დაცვა; ასევე, ადამიანით ვაჭრობის ან არასრულწლოვნით ვაჭრობის დანაშაულის გამო, პირის დაზარალებულად ცნობის შემთხვევაში.<sup>13</sup> დაზარალებულის ინტერესების დაცვის უფლება ჰქონდა მის კანონიერ წარმომადგენელსაც.<sup>14</sup>

## 2. 2010 წელს მიღებული ახალი რეგულაციების მიმოხილვა

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც მთლიანად შეუცვალა კურსი სისხლის სამართლის პროცესის წარმოებას. ცვლილებებმა გამოიწვია დაზარალებულისთვის მთელი რიგი უფლებების ჩამორთმევა. მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას არსებითად სხვაგვარად უდგება. იგი აღარ მოიაზრება მხარედ და, ძირითადად, მოწმის უფლება-მოვალეობებს იზიარებს.

სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილის მიხედვით, **დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა ან შეიძლება მისდგომოდა უშუალოდ დანაშაულის შედეგად**.

შესაბამისად, ზიანი მნიშვნელოვანი ელემენტია პირის დაზარალებულად ცნობისათვის, მაგრამ არა - ერთადერთი, ვინაიდან კანონმდებელი უშვებს პირის დაზარალებულად ცნობას ზიანის მიყენების საფრთხის არსებობის შემთხვევაშიც. თუმცა, მიუხედავად ამისა, საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობით, პირი დაზარალებულის უფლება-მოვალეობებს იძენს მხოლოდ პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ.<sup>15</sup>

დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის არ არის აუცილებელი, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგენილი და დადასტურებული იყოს, ვინაიდან მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი, დაადგინოს დანაშაულის ჩადენა, გამოძიება კი, მიმდინარეობს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. შესაბამისად, პირის დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია მატერიალური და ფორმალური საფუძვლების ერთობლივად არსებობა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ფონზე, დაზარალებული განიხილება როგორც ბრალდების მოწმე და, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მისი გამოძახება სასამართლო პროცესზე დამოკიდებულია პროკურორის გადაწყვეტილებაზე.<sup>16</sup> მისი პროცესუალური როლი, ძირითადად, მოწმის ფუნქციით შემოიფარგლება. თუმცა, მოწმისგან განსხვავებით, დაზარალებულს მიენიჭა ინფორმაციის მიღების უფლება საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ. აღნიშნულ ინფორმაციას დაზარალებულს ატყობინებს პროკურორი მისი მოთხოვნის შემთხვევაში.<sup>17</sup> ინფორმაციის მიღების უფლებაში იგულისხმება დაზარალებულის შესაძლებლობა, იყოს ინფორმირებული გამოძიებისა და სასამართლო წარმოების მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ. ინფორმაცია, ერთი მხრივ, მოიცავს ტექნიკურ საკითხებს, ხოლო მეორე მხრივ, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ამსახველ ცნობებს.

მას შემდეგ, რაც პროკურორი თავისი დადგენილებით დანაშაულის მსხვერპლს დაზარალებულად ცნობს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს: იცოდეს **ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი; მიიღოს სისხლის სამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი; მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობების შესახებ**.

ამასთან, დაზარალებულს უნდა ეცნობოს ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო და ადგილი, როგორცაა: **ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, სასამართლო სხდომა სასჯელის შეფარდების შესახებ და სააპელაციო ან საკასაციო სხდომა**.

<sup>12</sup> 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 71, 1-ლი ნაწილი.

<sup>13</sup> 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 71, მე-2 ნაწილი.

<sup>14</sup> 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 71, მე-2 ნაწილი.

<sup>15</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

<sup>16</sup> საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი, ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილისა და ი. გაბისონიას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 207.

<sup>17</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 58-ე მუხლი.

გარდა ზემოთ ხსენებული უფლებებისა, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებით განისაზღვრა **დაზარალებულის უფლება, მიიღოს გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების/განჩინების, განაჩენისა და სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლები. ასევე, მას უფლება აქვს, სამოქალაქო წესით წარადგინოს სარჩელი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.**

ვინაიდან სისხლის სამართალწარმოების დროს, შეიძლება, დაზარალებულმა განიცადოს მეორადი ვიქტიმიზაცია<sup>18</sup> და, ამის გამო, მიადგეს ზიანი, კანონმდებელმა, როგორც მისი, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების დასაცავად, შექმნა ცალკეული დამცავი მექანიზმები. ასეთ საშუალებას წარმოადგენს **დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება**, რომელიც შეიძლება იყოს: მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება,<sup>19</sup> ვინაობის შეცვლა და ახალი დოკუმენტების გაცემა, უსაფრთხოების ზომების მიღება,<sup>20</sup> საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა და სხვა სახელმწიფოში გადაყვანა.<sup>21</sup>

გარდა ამისა, დაზარალებულს, სხვა უფლებებთან ერთად, აქვს შესაძლებლობა, მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება და დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული მისი კუთვნილი ქონება.

### **3. დაზარალებულის უფლებების გაფართოების მცდელობა - 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებები**

2013 წლის 19 ნოემბერს<sup>22</sup> მიღებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დაზარალებულის უფლებების გაფართოებას, თუმცა, ცვლილებათა პაკეტში შესული ყველა რეგულაცია/ასპექტი არ ასახულა კანონმდებლობაში.<sup>23</sup>

კანონპროექტის საფუძველზე, 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, დაზარალებული აღიჭურვა უფრო მეტი სამართლებრივი გარანტიითა და უფლებამოსილებით, კერძოდ: **დაზარალებულს მიეცა შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, გაასაჩივროს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებები<sup>24</sup> სასამართლოში.** ამასთან, იმ პირს, რომელსაც დანაშაულის შედეგად გარკვეული ზიანი მიადგა, შეუძლია, მიმართოს პროკურორს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭების მოთხოვნით.

დაზარალებულს მიენიჭა უფლება, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს.<sup>25</sup> გარდა ამისა, მოსამართლის თანხმობით, დაზარალებულს შეუძლია, დაესწროს პროცესის მიმდინარეობას სასამართლო სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვის შემთხვევაში.<sup>26</sup> აღნიშნული რეგულირება შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულს, ინფორმირებული იყოს სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის მიუხედავად.

აუცილებელია, რომ ზემოთ ხსენებული უფლება-მოვალეობების შესახებ დაზარალებულს დეტალურად მიეწოდოს ინფორმაცია. აღნიშნული საკითხი 2014 წელს ამოქმედებულმა ახალმა რეგულაციებმა მოაწესრიგა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უფლებების განმარტებას დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანას უკავშირებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> ნაწილის მიხედვით, პროკურორი ან, მისი დავალებით, გამომძიებელი, პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, გააცნობს მას დაზარალებულს და განუმარტავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების პროცედურებს, რის შესახებაც ადგენს ოქმს. უფლებების გაცნობისა და დადგენილების გადაცემის ფაქტს დაზარალებული ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით.

<sup>18</sup> მეორადი/მეორეული ვიქტიმიზაცია გულისხმობს დაზარალებულისათვის განმეორებით შესაძლო ზიანის მიყენებას მისი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად.

<sup>19</sup> საჯარო რესტრის ან სხვა ხასიათის ჩანაწერში დაზარალებულის ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების (სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის და სხვ.) ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება.

<sup>20</sup> პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვ.

<sup>21</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 68-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

<sup>22</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578>

<sup>23</sup> მაგალითად: კანონპროექტი ითვალისწინებდა დაზარალებულის უფლებას, მიეღო სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები სრულად ან ნაწილობრივ, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა გამოძიების ინტერესებს; შესაძლებელი იყო, სისხლის სამართლის საქმის განმხილველ მოსამართლეს ბრალდებულისათვის, დაზარალებულის სასარგებლოდ, განაჩენით დაეცის რებინა კომპენსაციის გადახდა არანაკლებ 100 და არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით და ა.შ.

<sup>24</sup> პროკურორის გადაწყვეტილება დაზარალებულად (დაზარალებულის უფლებამონაცვლედ) ცნობაზე უარის თქმის, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

<sup>25</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი.

<sup>26</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 182-ე მუხლი, მე-4<sup>1</sup> ნაწილი.



#### 4. კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები და გამოწვევები დაზარალებულის ცალკეულ უფლებებთან დაკავშირებით

მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულის სრულიად ახალი მოდელი გვაქვს და, ერთი მხრივ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ყველა უფლება ჩამოერთვა, ხოლო მეორე მხრივ, 2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით, საკანონმდებლო ბაზა შედარებით გაუმჯობესდა, დაზარალებულის მდგომარეობა კვლავ პრობლემად რჩება. პროკურორის თითქმის შეუზღუდავი დისკრეციის ფარგლებში, დაზარალებულის ინტერესები ნაკლებად არის გაზიარებული და დაკმაყოფილებული.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მაღალია სისხლის სამართლის საქმეში დანაშაულის მსხვერპლთა მომართვიანობა, რომლებიც აპელირებენ გამოძიების არაეფექტურობასა და არაობიექტურობაზე, არასრულყოფილ და გაჭიანურებულ გამოძიებაზე. ასევე, ხშირია დაზარალებულად არცნობის, საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შემთხვევები. ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობს ყველა მტკიცებულება, ადგილი აქვს ბრალის წარდგენის გაჭიანურებას.<sup>27</sup> საიას მიერ შესწავლილ 8 საქმეში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პირებს, რომლებსაც დანაშაულის შედეგად მიაღდათ ზიანი, დროულად არ მიენიჭათ დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი, უარი ეთქვათ საქმის მასალების გაცნობაზე, ასევე, არაეფექტურად და არასრულყოფილად მიმდინარეობდა საქმის გამოძიება, რაც არსებული ნორმების არასწორი ინტერპრეტაციის, საკანონმდებლო ხარვეზებისა და საკითხისადმი არაადეკვატური/გულგრილი დამოკიდებულების შედეგია.

აღსანიშნავია, რომ პირები, რომლებსაც დანაშაულის შედეგად მიაღდათ ზიანი, თავდაპირველად სარგებლობენ მოწმის სტატუსით. საიას ადვოკატის განმარტებით, პირველი პრობლემა, რომელსაც ისინი აწყდებიან, არის - დაიწყება თუ არა გამოძიება მათი მიმართვის საფუძველზე. „ყოფილა შემთხვევები, როდესაც რეალურად სახეზე იყო დანაშაულის ნიშნები, მაგრამ გამოძიება არ დაიწყებულა.“<sup>28</sup> საიას ადვოკატის განმარტებით, „რამდენიმე დღის წინ არასრულწლოვანი მოქალაქე იმყოფებოდა ქალაქგარეთ მეგობართან ერთად, სადაც მან დაკარგა კუთვნილი ნივთები (ლექტოპი, საფულე და სუნამო). როდესაც გამოძიების ორგანოებს მიაწოდა ამის შესახებ ინფორმაცია, მას უთხრეს, რომ ამ ნივთებს ის ვეღარ დაიბრუნებდა და მოუწოდეს, შეეცვალა მომხდარი ფაქტობრივი გარემოებები და ეთქვა, რომ ნივთები დაკარგა არა ქალაქგარეთ, არამედ ქალაქში, კერძოდ, აფთიაქში. თითქოს მას ეს ნივთები დარჩა აფთიაქში და უკან რომ დაბრუნდა, აღარაფერი დახვდა. ამ ვერსიის განვითარებით, გამოძიების მიზანი იყო, უფრო ნაკლები საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებინათ. კერძოდ, მათ აღარ მოუწევდათ ქალაქგარეთ ქურდობის ადგილისა და ჩამტვრეული ავტომანქანის დათვალიერება, სადაც არასრულწლოვნის ნივთები ელაგა. ასევე, აღარ მოუწევდათ შესაბამისი მოწმეების დაკითხვა და ა.შ.“<sup>29</sup>

##### 4.1. პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველი და პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმები

საგულისხმოა, რომ 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, გარდა პროკურორის ინიციატივისა და ნება-სურვილისა, მსხვერპლსაც აქვს შესაძლებლობა, პროკურორს მიმართოს განცხადებით დაზარალებულად ცნობის თაობაზე. აღნიშნული ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით პროკურორი იღებს. თუ პროკურორი განცხადებას არ დააკმაყოფილებს მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში, დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვს, პროკურორის უარი 10 დღის ვადაში<sup>30</sup> ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ზემდგომი პროკურორის პასუხი საბოლოოა და აღარ ხდება მის გადაწყვეტილებაზე სასამართლო კონტროლი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პირს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გამოძიების ადგილის მიხედვით.<sup>31</sup>

„უმრავლეს შემთხვევაში, ქვემდგომი პროკურორი დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას უთანხმებს ზემდგომ პროკურორს და, გასაჩივრების შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორი მას უცვლელად ტოვებს. ამასთან, ზემდგომი პროკურორის დასაბუთება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ არის მინიმალურზე დაბალი. ამდენად, პრაქტიკულად, ჩვენ ვიგებთ მხოლოდ ზემდგომი პროკურორის მოსაზრებას, რომ ის ეთანხმება გამოცემულ დადგენილებას და არანაირი სხვა დასაბუთება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ გააჩნია.“<sup>32</sup>

<sup>27</sup> ლევან ვეფხვაძე, საიას ადვოკატი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

<sup>28</sup> ჯემალ ჭკადუა, საიას ადვოკატი.

<sup>29</sup> ჯემალ ჭკადუა, საიას ადვოკატი.

<sup>30</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 95-ე მუხლი, მე-6 ნაწილი.

<sup>31</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 56-ე მუხლი, მე-5 ნაწილი.

<sup>32</sup> ლევან ვეფხვაძე, საიას ადვოკატი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პროკურორმა დაარღვია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნა და მოქალაქის მიმართვიდან 48 საათში არ გამოიტანა დადგენილება პირის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის ან უარის თქმის შესახებ.<sup>33</sup> მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ „მართალია, სახეზე არ გვაქვს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო დოკუმენტი, რომლის კანონიერებაზეც (გაუქმებაზე ან ძალაში დატოვებაზე) უნდა იმსჯელოს სასამართლომ, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს დაზარალებულის უფლებამონაცვლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების უგულვებელყოფა, მათ შორის, პროკურორის მიერ დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების შეზღუდვა, სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული საჩივარი.“<sup>34</sup>

გარდა ამისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს, ერთჯერადად გაასაჩივროს პროკურორის დადგენილება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ზემდგომ პროკურორთან. ამავე კოდექსის 168-ე მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი საჩივრდება ზემდგომ პროკურორთან. ორივე შემთხვევაში, ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა და აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას, თუმცა, 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაზარალებულს მიეცა შესაძლებლობა, თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია ჩადენილი, არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ ერთჯერადად ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლებით. ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორის ის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა საჩივარი, გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. თუმცა, თუ პირი დაზარალებულად ცნეს ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, პროკურორის გადაწყვეტილების კანონიერების სასამართლო კონტროლის მექანიზმი აღარ არსებობს და დაზარალებულს უფლება აქვს, გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან. საგულისხმოა, რომ **დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება თავიდანვე შეთანხმებულია ზემდგომ პროკურორთან, ამიტომ დაზარალებულისთვის მისი ამ ფორმით გასაჩივრება, როგორც წესი, არ არის შედეგის მომცემი და ფორმალურ ხასიათს ატარებს.**<sup>35</sup> გარდა ამისა, გამოძიების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა საქმეზე სწორი კვალიფიკაციის მინიჭება, ამიტომ **სასამართლოში გასაჩივრება სასჯელის სიმძიმეზე არ უნდა იყოს დამოკიდებული**, ვინაიდან გამოძიების მიმდინარეობისას, შესაძლოა, ნებისმიერ დროს შეიცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია. მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს არ წაერთვას უფლება, მოსამართლესთან სამართალი თვითონ ეძიოს. რა თქმა უნდა, კანონმდებლის პოზიცია სრულიად გასაგებია იმ ნაწილში, რომ სასამართლო კონტროლი ნამდვილად ეფექტური მექანიზმია, რათა პროკურორმა ბოროტად არ გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება. ასეთი პრაქტიკა უცხო არ არის ევროპის ქვეყნებისთვისაც (მაგალითად, საფრანგეთი).<sup>36</sup> თუმცა, გაუგებარი და ბუნდოვანია, რა კრიტერიუმებით არის შერჩეული მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევებში გასაჩივრების შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ, პრაქტიკულად, პროკურორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დევნის შეწყვეტასა ან დაწყებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების რაოდენობა შეიძლება უფრო მეტი იყოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენისას, ვიდრე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის არსებობის შემთხვევაში.<sup>37</sup>

დისკრეციული დევნა არ გულისხმობს იმას, რომ პროკურორმა თავის თავში სამივე ხელისუფლება გააერთიანოს. ეს უმნიშვნელოვანესი მექანიზმი გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს. ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც პროკურორი უნდა აიძულოს, იყოს მიუკერძოებელი დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას.<sup>38</sup> საერთო ჯამში, დაზარალებულმა არა მარტო უნდა შეიტყოს, რომ მართლმსაჯულება განხორციელდა, არამედ მან უნდა დაინახოს და დაიჯეროს მართლმსაჯულების განხორციელება.

<sup>33</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-16 ნაწილის მიხედვით, პროკურორის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე არის დადგენილება, რომლის გასაჩივრების უფლებითაც სარგებლობს პირი, რაც პროკურორის მიერ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო მიღებული.

<sup>34</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 აპრილის განჩინება, №3/8106.

<sup>35</sup> სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ეფექტური გამოძიების საკითხებზე, თბილისი, 2014, 60.

<sup>36</sup> Boulouc B., Stefani G., Levasseur G., Procédure pénale, 23e édition, Paris, 2012, 589-590. სისხლის სამართლის ფრანგული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას, სასამართლოში (საგამოძიებო პალატაში) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან დევნის შეწყვეტის შესახებ.

<sup>37</sup> მეურმიშვილი ბ. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი, 2014, 191.

<sup>38</sup> მეფარიშვილი გ. დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით, სამართლის პუბლიცისტიკა, თბილისი, 2014, 24.

წინამდებარე შემთხვევა ნათლად ასახავს არასათანადო მოპყრობის მსხვერპლისათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების, გამოძიების გონივრული სისწრაფით ჩატარებისა და ქმედების კვალიფიკაციის პრობლემატიკას.

2015 წლის 3 აგვისტოს მოქალაქე გ.თ. დააკავეს ადმინისტრაციული წესით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე<sup>39</sup> და 173-ე<sup>40</sup> მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტზე. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავების ოქმი შედგენილია 2015 წლის 3 აგვისტოს, 00:05 საათზე, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირს მარჯვენა და მარცხენა თვალებზე აღენიშნება “ჩაწითლებები”, აგრეთვე, ორივე კიდურზე ნაიარვეი. გ.თ. დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიყვანეს 01:09 საათზე. დაკავებულის გარეგანი დათვალიერების ოქმში აღნიშნულია, რომ გ.თ-ს ზურგზე ჰქონდა ნაკაწრები, მარჯვენა თვალის არეში აღენიშნება ჩალურჯება და შეწითლება, ტუჩზე გააჩნდა მცირე დაბეჭილობა. აგრეთვე, საქმეში არსებობს სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმად, 2015 წლის 04 აგვისტოს, 14:20 საათზე, გ.თ-მ მიმართა რეფერალური ჰოსპიტლის ამბულატორიას, რა დროსაც აღენიშნებოდა ლავიწის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა, შემუშება, მოძრაობის შეზღუდვა მარცხენა მხარის სახსრის არეში. სამედიცინო ცნობაში აღნიშნულია, რომ ავადმყოფობის მიმდინარეობა არის მწვავე და, პაციენტის განმარტებით, დაზიანება მიიღო მესამე პირისგან. გ.თ-ს მტკიცებით, მან ეს დაზიანებები მიიღო ადმინისტრაციული წესით დაკავებისას და პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა უფლებამოსილების გადამეტებას, რის გამოც, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც წარმოადგენს მძიმე კატეგორიის დანაშაულს<sup>41</sup> და გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით ან იარაღის გამოყენებით. მიუხედავად მრავალი მიმართვისა, გ.თ-ს არ მიანიჭეს დაზარალებულის სტატუსი.<sup>42</sup> პროკურატურის განმარტებით, „საქმეში მოპოვებული მტკიცებულებები არ გვადლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ გ.თ-ს მიადგა ზიანი, რაც გახდებოდა დაზარალებულად ცნობის საფუძველი.“ გ.თ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა რამდენჯერმე მიმართა პროკურატურას და ითხოვა დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭება, თუმცა, პროკურატურამ არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ განცხადება შეტანილი იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებობდა გ.თ-ს დაცვის ორდერი.

საგულისხმოა, რომ როდესაც დაკავებული პირი სახელმწიფო ორგანოების კონტროლის ქვეშ იმყოფება, წარმოიშობა მყარი ფაქტის პრეზუმფცია ასეთი დაკავების დროს მომხდარი დაზიანების მიმართ. ამდენად, მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ორგანოებს აწევთ, რაც მოიცავს მათ ვალდებულებას, წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება. ამასთან, მოცემულ საქმეში არსებობს **ლეგიტიმური კითხვები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან შესაძლო დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, პროკურატურა ვალდებულია, ასეთ დროს განსაკუთრებით გულმოდგინედ და ეფექტურად აწარმოოს გამოძიება, რომელიც დაადგენს სრულად საქმის გარემოებებს და, დანაშაულის ჩადენის დადასტურების შემთხვევაში, დადგება შესაბამისი პირის/პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.**

<sup>39</sup> წვრილმანი ხულიგნობა.  
<sup>40</sup> სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.  
<sup>41</sup> სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ვადით.  
<sup>42</sup> 2016 წლის მაისის მდგომარეობით.



მოცემულ საქმეში იკვეთება დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭებისა და საქმეზე სწორი კვალიფიკაციის განსაზღვრის პრობლემები.

მოქალაქე მ.მ-ს განმარტებით, 2015 წლის 11 მაისს მის მიმართ განხორციელდა ძალადობა და გაუპატიურების მცდელობა. როგორც განმცხადებელი ამბობს, მან დ.ლ. გაიცნო სოციალური ქსელის საშუალებით. რამდენიმე დღით ადრე, გაცნობილმა მამაკაცმა ტელეფონზე დაურეკა და სტუმრად მისვლის ნებართვა სთხოვა. ვინაიდან, მამაკაცი ბინაში ნასვამი მივიდა, მ.მ-მ მას წასვლა სთხოვა და ბინაში შემოსასვლელი კარის გასაღებად წავიდა. მისი განმარტებით, როდესაც კარს აღებდა, მამაკაცი უკნიდან მიეპარა და ხის სასანთლე ჩაარტყა თავში. მ.მ. დაეცა და გონება დაკარგა. მისი განმარტებით, როდესაც გონს მოვიდა, ის ისევ იატაკზე იწვა, ხოლო დ.ლ. მას ზევიდან ეჯდა და აიძულებდა, მასთან გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი დაემყარებინა. მ.მ-სგან უარის მიღების შემდეგ მამაკაცმა დაიწყო მისი დახრჩობა. ხმაურზე მეზობელმა პოლიცია გამოიძახა. მ.მ-ს განმარტებით, პოლიციის მოსვლის შემდეგ, სავარაუდოდ დამნაშავე ისევ იქ იყო, თუმცა, მისი დაკავება არ მომხდარა, ხოლო თვითონ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. როგორც მოქალაქე განმარტავს, ძალადობის დროს მამაკაცმა განაცხადა, რომ იგი იყო უშიშროების თანამშრომელი და მას ვერავინ დასჯიდა. მ.მ-ს ჩაუტარდა ექსპერტიზა. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მისი დაზიანება „მსუბუქ“ კატეგორიის მიაკუთვნა. ვინაიდან მ.მ. ამ დასკვნას არ ეთანხმებოდა, მან დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩაიტარა, რომელმაც პირველი გამოკვლევისაგან განსხვავებული შედეგები დააფიქსირა. უკანასკნელი ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, საქმე ეხებოდა არა „მსუბუქ“, არამედ „ნაკლებად მძიმე“ კატეგორიის დაზიანებას. მას აღმოაჩნდა ქალა-ტვინის ტრავმა. ამასთან, დასკვნის მიხედვით, მოქალაქე მ.მ-ს ძალადობის შედეგად განუვითარდა პოსტ-ტრავმული ეპილეფსია და, მკურნალობის მიუხედავად, ეპილეფსიური გულყრები დასჩემდა. ამ ყველაფრის ფონზე, სამხარაულის სახელობის ბიუროში განმეორებითი ექსპერტიზა დაინიშნა. თუმცა, მას შემდეგ დაახლოებით 8 თვეა გასული და შედეგები ჯერ კიდევ არ არის ცნობილი. ამასობაში, განმცხადებელს მეორე ჯგუფის ინვალიდობის სტატუსი მიენიჭა. მოქალაქის განმარტებით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია. განმცხადებელი აღნიშნულ კვალიფიკაციას არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა მკვლელობისა და გაუპატიურების მცდელობას. საგულისხმოა, რომ მ.მ. არ არის ცნობილი დაზარალებულად, შესაბამისად, მას არ გააჩნია ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობისა და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.<sup>44</sup>

#### 4.1.1. დაზარალებულად ცნობისა და გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით

ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის საქმეებზე გასაჩივრების მექანიზმის არარსებობა ყველაზე უფრო მწვავედ დგას სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, დასჯადია პირის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა.

საგულისხმოა, რომ განსხვავებული მიდგომები აქვს პროკურატურას პირის დაზარალებულად ცნობასთან მიმართებით. არის შემთხვევები, როდესაც პროკურატურა ცნობს პირს დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, უარს ეუბნებიან პირებს შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭებაზე. შესაბამისად, განსხვავებული და დიფერენცირებული მიდგომა ერთნაირ სიტუაციაში მყოფი ადამიანებისა და ერთი და იგივე მუხლით მიმდინარე საქმეების მიმართ. პროკურორები, ხშირ შემთხვევაში, ამის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ პირის დაზარალებულად ცნობა განპირობებულია საქმის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით,<sup>45</sup> რაც აჩენს ეჭვებს თვითნებობისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ.

არსებული პრაქტიკით, გარკვეულ საქმეებზე, მათ შორის, სასჯელადსრულების დაწესებულებებში მომხდარ შემთხვევებზე, სადაც ადამიანის სიკვდილი დადგა, გამოძიება იწყება და მიმდინარეობს სსკ-ის 115-ე მუხლით. თუმცა, ამ დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის სიმძიმის გათვალისწინებით,<sup>46</sup> გარდაცვლილის

<sup>43</sup> იხ. სატელევიზიო სიუჟეტი მ.მ-ს საქმესთან დაკავშირებით: <http://rustavi2.com/ka/video/15358?v=2>

<sup>44</sup> მართალია, კვლევაში განხილული საქმეები მოიცავს 2016 წლის მაისის ჩათვლით არსებულ მონაცემებს, თუმცა, 2016 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც საქმეში საიას ადვოკატი ჩაერთო, მოქალაქე მ.მ. ცნეს დაზარალებულად, ქმედება გადაკვალიფიცირდა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მუხლზე და დაინიშნა კომისიური ექსპერტიზა.

<sup>45</sup> ლევან ვეფხვაძე, საიას ადვოკატი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

<sup>46</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა ისჯება თავისუფლების შეზღუდვით - ხუთ წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთით - ორიდან ოთხ წლამდე ვადით.



ახლო ნათესავს არ აქვს უფლება, სასამართლოში გაასაჩივროს ზემდგომი პროკურორის შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ამდენად, არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსახლეობაში არის დაბალი ნდობა ზემდგომი პროკურორის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით,<sup>47</sup> ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პროკურორის შემაჯამებელი გადაწყვეტილების განხილვას დამოუკიდებელი ორგანოს - სასამართლოს მიერ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით,<sup>48</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, 2015 წლის იანვრიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით, გამოძიება დაიწყო 1952 სისხლის სამართლის საქმეზე. თუმცა, რამდენ საქმეში მიენიჭა პირებს დაზარალებულის ან დაზარალებულის უფლებამონაცვლის პროცესუალური სტატუსი, ამის შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვება, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამის უწყებებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა და დამუშავება არ ხდება. ინფორმაციის დამუშავება არც მაშინ მომხდარა, როცა წერილობითი განცხადებით მივმართეთ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით.<sup>49</sup>

### მოქალაქე ლ.ა-ის საქმე

ქვემოთ მოყვანილ საქმეში იკვეთება მიზეზობრივი კავშირი პოლიციელთა არამართლზომიერ ქმედებებსა და დამდგარ სასიკვდილო შედეგს შორის, რომელიც სათანადოდ არ არის გამოძიებული. ასევე, აშკარაა დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის დაუსაბუთებლობა. ამასთან, ეს შემთხვევა ნათლად მიუთითებს საკანონმდებლო გარანტიების არარსებობაზე მძიმე ან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებით.

განმცხადებლის განმარტებით, 2015 წლის 17 ივნისს მისი მეუღლე წაიყვანეს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. მან ვერ მოშარდა, რის შემდეგაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა დააღვივნეს სამი აბი შარდმდენი საშუალება. მიუხედავად ნარკოლოგიური შემოწმების ჩატარებისა, მას ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არ დაუდგინდა. განმცხადებლის მტკიცებით, ნარკოლოგიური დაწესებულებიდან წამოსვლის შემდეგ მისი მეუღლე ცუდად გახდა და რამდენიმე საათში გარდაიცვალა. გარდაცვლილის ოჯახის წევრების განმარტებით, პირის გარდაცვალების მიზეზი გახდა დიდი დოზით შარდმდენი საშუალების მიღება, რომელიც ნარკოლოგიური შემოწმების დროს დააღვივნეს. ამ საქმესთან დაკავშირებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ-ის 115-ე მუხლით. გარდაცვლილი ლ.ა-ს მეუღლე მ.ჯ. ან მისი რომელიმე ახლო ნათესავი არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. მოცემულ შემთხვევაში, კი მათ არ აქვთ საკანონმდებლო ბერკეტი, შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭების თაობაზე იდავონ სასამართლოში. ასევე, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, პროკურატურა გარდაცვლილის ნათესავებსა და მათი ინტერესების დამცველ ადვოკატს საქმის მასალების გაცნობაზე უარს ეუბნება. საგულისხმოა, რომ სიკვდილის მიზეზის დასადგენად დანიშნულია ექსპერტიზა, რომლის პასუხი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი.

#### 4.1.2. საქართველოში არსებული პრაქტიკისა და სტატისტიკის ანალიზი გასაჩივრების უფლებასთან მიმართებით

პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებით სარგებლობის პრაქტიკის გაანალიზების მიზნით, საიამ წერილობით მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას. აგრეთვე, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და გორის, ზუგდიდის, მცხეთისა და თელავის რაიონულ სასამართლოებს.

##### 4.1.2.1. გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან

საქართველოს მთავარი პროკურატურის წერილის<sup>50</sup> მიხედვით, ირკვევა, რომ პროკურატურას არ გააჩნია/ არ ამუშავებს საჯარო ინფორმაციასა და სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ეხება დაზარალებულის

<sup>47</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2014, 347.  
<sup>48</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 18 მაისის წერილი, №1211242.  
<sup>49</sup> საიას განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე, 2016 წლის 26 აპრილი, №გ-04/235-16.  
<sup>50</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2016 წლის 24 მაისის წერილი, №13/32693.

(დაზარალებულის უფლებამონაცვლის) სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრებას ზემდგომ პროკურორთან. აგრეთვე, პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმების შემთხვევებს, სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესით.<sup>51</sup>

ამდენად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას, გავანალიზოთ, რამდენად ხშირად ასაჩივრებს გადაწყვეტილებებს დაზარალებული ზემდგომ პროკურორთან და როგორია საჩივრის დაკმაყოფილების/დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სტატისტიკა.

## მოქალაქე დ.გ-ს საქმე

ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა ასახავს, თუ როგორი არაეფექტურია, რიგ შემთხვევებში, ზემდგომ პროკურორთან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

2015 წლის 16 ოქტომბერს ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს განცხადებით მიმართა მოქალაქე დ.გ-ს ძმამ, ლ.გ-მ და ითხოვა დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობა შემდეგი საფუძველით: 2015 წლის 13-14 ივნისის დამეს ქალაქ თბილისში, მდინარე ვერეს ადიდების შედეგად, გარდაიცვალა განმცხადებლის ძმა დ.გ. ლ.გ-ს განმარტებით, მისი ძმის გარდაცვალება განპირობებული იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უმოქმედობით, რომელმაც არ უზრუნველყო გმირთა მოედნიდან თამარაშვილის ქუჩამდე მდინარე ვერეს ხეობაში გამავალი გზის გადაკეტვა. განმცხადებლის ინფორმაციით, აღნიშნულ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2015 წლის ივნისში სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით.<sup>52</sup> 2015 წლის ოქტომბერში მოქალაქე ლ.გ-მ მიმართა ქ.თბილისის პროკურატურას დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე. თუმცა, პროკურატურამ უარი უთხრა შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭებაზე, დაზარალებულად ცნობის საფუძვლების არარსებობის გამო.<sup>53</sup> განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრა ზემდგომ პროკურორთან, მაგრამ ამ უკანასკნელმაც ძალაში დატოვა თავდაპირველი გადაწყვეტილება და უარი უთხრა განმცხადებელს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე იმ საფუძველით, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტის არსებობა-არარსებობის დადგენისათვის საკმარისი არ არის პირის მიერ გამოთქმული მოსაზრება. აგრეთვე, „არ არსებობს ის წინაპირობები, რომელიც დააკმაყოფილებდა ვარაუდს, რომ შესაძლოა, ჩადენილი იყოს სისხლის სამართლის დანაშაული.“<sup>54</sup>

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, პროკურატურამ ყურადღება გამახვილა არა ზიანის მიყენების ფაქტზე, რომელიც განმცხადებელს ძმის გარდაცვალების შედეგად მიადგა, არამედ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით. **აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისათვის არ არის აუცილებელი დანაშაულის დადასტურებულად არსებობის აუცილებლობა.**<sup>55</sup> ნორმის ამგვარი ინტერპრეტაცია ხელს უშლის დანაშაულის მსხვერპლს საკუთარი უფლებების რეალიზაციაში. მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი დანაშაულის რეალურად განხორციელებას.<sup>56</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაწყებულია და მიმდინარეობს სსკ-ის 116-ე მუხლით. აღნიშნული მიუთითებს, რომ მოცემულ ეტაპამდე გამოძიება ვარაუდობს, რომ პირის სასიკვდილო შედეგი დადგა დანაშაულის შედეგად.

<sup>51</sup> საიას 2016 წლის 20 აპრილის წერილი, №გ-04/226-16.

<sup>52</sup> გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა.

<sup>53</sup> ქალაქ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორის 2016 წლის 17 ოქტომბრის წერილობითი პასუხი, №13/01-65103.

<sup>54</sup> დადგენილება მოქალაქე ლ.გ-ის საჩივრის უარყოფის თაობაზე, 2015 წლის 30 ოქტომბერი, №13/01-67845.


<sup>55</sup> **დაზარალებული არის პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა, ან შეიძლება მისდგომოდა გარკვეული ზიანი. თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭების მომენტისათვის დანაშაულის ჩადენის ფაქტი დადგენილი და დადასტურებული უნდა იყოს.**

<sup>56</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2014, 348.

**4.1.2.2. გასაჩივრება სასამართლოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში**

საიამ სასამართლოებისგან გამოითხოვა<sup>57</sup> 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით არსებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ეხებოდა დაზარალებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრებას.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას, რომელიც დაფიქსირდა ზემოთ ხსენებულ სასამართლოებში 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით.<sup>58</sup>



7 შემთხვევა გამოვლინდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა, ამ მონაცემებიდან 4 შემთხვევაში, საჩივარი ეხებოდა დაზარალებულად/დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე სასამართლოში წარდგენილ საჩივარს, საიდანაც 3 საჩივარი დარჩა განუხილველი, ხოლო ერთი - დაკმაყოფილდა. დანარჩენი 3 შემთხვევა ეხებოდა სასამართლოში შეტანილ საჩივარს, რომლითაც დაზარალებული/დაზარალებულის უფლებამონაცვლე მოითხოვდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე მიღებული დადგენილების გაუქმებას. აღნიშნული 3 შემთხვევიდან 2 საჩივარი განუხილველი დარჩა, ხოლო 1 - არ დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საჩივარი განუხილველი დარჩა, სასამართლოს მიერ არ იყო გამოტანილი განჩინება და საჩივრის ავტორებს პასუხი ეცნობათ წერილობითი ფორმით.<sup>59</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ინფორმაციასა და გამოთხოვნილი ჰქონდა გორის რაიონული სასამართლოდანაც, თუმცა, მათ განგვიმარტეს, რომ აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვასა და დამუშავებას არ აწარმოებდნენ.<sup>60</sup>

**ამდენად, სასამართლოების მიერ წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ თითქმის არ ხდება სასამართლოში გასაჩივრების უფლების პრაქტიკული რეალიზება და პირი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იყენებს პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობას.**

<sup>57</sup> საიამ მიერ გაგზავნილი წერილები საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით: თბილისის საქალაქო სასამართლო - 2016 წლის 25 მარტის წერილი, №გ-04/199-16, ქუთაისის საქალაქო სასამართლო - 2016 წლის 25 მარტის წერილი, №გ-04/196-16, რუსთავის საქალაქო სასამართლო - 2016 წლის 28 მარტის წერილი, №გ-04/192-16, ბათუმის საქალაქო სასამართლო - 2016 წლის 28 მარტის წერილი, №გ-04/198-16, გორის რაიონული სასამართლო - 2016 წლის 22 მარტის წერილი, №გ-04/194-16, თელავის რაიონული სასამართლო - 2016 წლის 25 მარტის წერილი, №გ-04/197-16, ზუგდიდის რაიონული სასამართლო - 2016 წლის 28 მარტის წერილი, №გ-04/193-16, მცხეთის რაიონული სასამართლო - 2016 წლის 22 მარტის წერილი, №გ-04/195-16.

<sup>58</sup> სასამართლოების მიერ გამოგზავნილი ინფორმაცია: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 28 მარტის წერილი, №1-0494/6523, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის წერილი, №7610, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის წერილი, №143/გ, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის წერილი, №10482/16-212 გ/კ, გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის წერილი, №გ/ფ-4093, თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 მარტის წერილი, №206, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 29 მარტის წერილი, №267, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 1-ლი აპრილის წერილი, №70.

<sup>59</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 4 აპრილის წერილი, №2-0167/1310757.

<sup>60</sup> გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის წერილი, №გ/ფ-40 93.



#### 4.2. საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაზარალებულს უფლება აქვს, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.<sup>61</sup> იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულისათვის ინფორმაციის გაცნობა ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, პროკურორი/გამომძიებელი ვალდებულია, უარის თქმის საფუძვლის აღმოფხვრისთანავე აცნობოს დაზარალებულს, მიაწოდოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გააცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალები.<sup>62</sup> ამდენად, ასეთ შემთხვევაში, დაზარალებულის ხელმეორედ მიმართვა საჭირო აღარ არის და თავად პროკურორმა ან გამომძიებელმა უნდა იზრუნოს დაზარალებულის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოძიების ინტერესების მოტივით საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმა ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. აღნიშნული რეგულაცია ხელს უწყობს არასწორი პრაქტიკის განვითარებას. ამის ფონზე, **აუცილებელია, რომ მასალების გაცნობაზე უარის თქმის მიზეზები განპირობებული იყოს კონკრეტული საფუძვლებით**, რათა გამოირიცხოს პროკურორის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები. იმისათვის, რომ არ გაჩნდეს თვითნებური და სუბიექტური დამოკიდებულების საფრთხე, განჭვრეტადი უნდა იყოს დაზარალებულისათვის პროკურორის პოზიცია/გადაწყვეტილება, თუ რატომ ეუბნებიან უარს მასალების გაცნობაზე.<sup>63</sup>

**საგულისხმოა, რომ გარდა საქმის მასალების გაცნობისა, გარკვეულ შემთხვევებში დაზარალებულს უნდა ჰქონდეს ამ მასალების ასლების გაკეთების შესაძლებლობაც.** თუმცა, მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში, დაზარალებული ამ უფლებას მოკლებულია. იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი მიიჩნევს, რომ დაზარალებულისათვის საქმის ირგვლივ ინფორმაციის მიწოდება არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, გაუგებარია, რატომ არ შეიძლება, რომ მას ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს საქმის მასალების ასლებიც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კანონი უნდა უშვებდეს იმის შესაძლებლობას, დაზარალებულს მიეცეს უფლება, გარკვეულ შემთხვევებში მიიღოს საქმის მასალების ასლებიც. თუმცა, იმავდროულად, პროკურატურას უნდა ჰქონდეს ბერკეტი, ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დასაბუთებული უარი უთხრას ასლების გადაცემაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.**

მართალია, საქმის მასალების ასლების დაზარალებულისათვის გადაცემით, შესაძლოა, შეილახოს სხვა პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება, თუმცა, აღნიშნული საფრთხის შემცირება ან/და განეიტრალება შესაძლებელია საქმის მასალების დამტრიალებით. მოცემული ღონისძიება უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სხვა პირის პერსონალური მონაცემების დაცვას და, მეორე მხრივ, დაზარალებულის უფლებების რეალიზებას. შესაძლოა, დაზარალებულს სურდეს სამოქალაქო სარჩელის შეტანა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მაგრამ სისხლის სამართლის საქმის მასალების გარეშე ზოგჯერ ის მოკლებულია ამის შესაძლებლობას. მართალია, დაზარალებულს შეუძლია, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა პროკურატურიდან საქმის მასალების გამოთხოვნის თაობაზე, თუმცა, იმისათვის, რომ დავას ეფექტური და ნაყოფიერი ხასიათი ჰქონდეს, ამასთან, დაზარალებულმა წინასწარ განსაზღვროს და დაგეგმოს მისი სტრატეგია, მნიშვნელოვანია, რომ მას სასამართლოში სარჩელის შეტანამდე უკვე გააჩნდეს სისხლის სამართლის საქმის მასალები. გარდა ამისა, დაზარალებულს შესაძლოა, მედიის საშუალებით სურდეს ინფორმაციის გაჟღერება მომხდარი დანაშაულის თაობაზე და ამით შეეცადოს, გარკვეული გავლენა მოახდინოს ეფექტური და ობიექტური გამოძიების წარმართვაზე. თუმცა, საქმის მასალების გარეშე, დაზარალებულს არ ექნება ბერკეტი შესაბამისი ინფორმაცია სწორად და გასაგებად მიაწოდოს საზოგადოებას. ასევე, საქმის მასალების გადაცემის შეზღუდვა დაზარალებულს ხელს უშლის, მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და იდავოს გამოძიების გაჭიანურებისა და არაეფექტურობის გამო.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის ასეთი შეზღუდული უფლებები უფლებადამცველებსა და ექსპერტებსაც უქმნის გარკვეულ პრობლემებს დაზარალებულის ინტერესების ეფექტურად დაცვის კუთხით.

**„პროკურატურას ყველა მექანიზმი გააჩნია დაზარალებული მოქალაქის ბლოკადაში მოსაქცევად. ვთქვათ, დაზარალებულს მიაჩნია, რომ მას მიადგა გაცილებით მძიმე დაზიანება, ვიდრე ეს დასკვნაშია წარმოდგენილი. მას არ აქვს ბერკეტი, დაიკვას თავისი ინტერესი, განსხვავებით ბრალდებულისგან, რომელსაც შეუძლია დაიქირაოს ადვოკატი, მოთხოვოს ექსპერტიზა და ა.შ. დაზარალებული კი მთლიანად პროკურატურაზეა ჩამოკიდებული და დამოკიდებული. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო დასკვნების გაცემას ხშირად 1 წლითაც აჭიანურებს, ამასობაში კი, პაციენტის მდგომარეობის ამსახველი სურათი იცვლება.**

<sup>61</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 57-ე მუხლი პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

<sup>62</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 57-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

<sup>63</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, თბილისი, 2014, 351-352.



ჩემთან მოსულან შვილმკვდარი დედები, რომელთაც ვერ დავხმარებდით მარტო იმიტომ, რომ ვერ მომიტანა სათანადო დოკუმენტები, დასკვნები და დაკითხვის ოქმები, რადგან მათი ალების უფლება არ გააჩნიათ.<sup>64</sup>

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ გამოძიების პროცესში დაზარალებულს/მის უფლებამონაცვლეს ხელი მიუწვდებოდეს გამოძიების მიმდინარეობაზე და მიეცეს მასში ჩართვის შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) ერთ-ერთი პრინციპი ადგენს დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლის უპირობო და აუცილებელ ჩართვას გამოძიების პროცესში. რა თქმა უნდა, მისი გამოძიებაში მონაწილეობა არ ნიშნავს კერძო პირისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის უფლების გადაცემას. **გამოძიების პროცესში დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლის მონაწილეობის მთავარი მიზანია მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მხარეთა შეჯიბრებითობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა პრინციპების გათვალისწინებით.**

### დაზარალებულების: შ. ი-ის, მ.თ-ისა და ა.რ-ის საქმე

მოცემული შემთხვევა ნათლად ასახავს დაზარალებულთათვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის პრობლემატიკას.

ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტი აწარმოებს სისხლის სამართლის საქმეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით,<sup>65</sup> 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით,<sup>66</sup> ამავე კოდექსის 147-ე მუხლით<sup>67</sup> და 341-ე მუხლით<sup>68</sup> გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით. დაზარალებულების ადვოკატმა განცხადებით მიმართა პროკურატურას საქმის მასალების გაცნობის თაობაზე,<sup>69</sup> თუმცა, ქალაქ თბილისის პროკურატურამ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე,<sup>70</sup> უარი განაცხადა დაზარალებულებისთვის საქმის მასალების გაცნობაზე.<sup>71</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება დაზარალებულთა ადვოკატმა გაასაჩივრა ზემდგომ პროკურორთან<sup>72</sup> და მოითხოვა მასალების გაცნობაზე უარის თქმის დადგენილების გაუქმება და მასალების გაცნობის უფლების მინიჭება. თუმცა, ზემდგომი პროკურორის პასუხის თანახმად, „დადგენილება არის დასაბუთებული და კანონიერი, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.“<sup>73</sup> ამდენად, ზემდგომმა პროკურორმა, სრულიად დაუსაბუთებლად, არ დააკმაყოფილა ადვოკატის საჩივარი და უარი განაცხადა მასალების გაცნობაზე.

ის ფაქტი, რომ დაზარალებულს არ მიუწვდებია ხელი გამოძიების მასალებზე, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც მსხვერპლის ეფექტური ჩართულობა და მონაწილეობა გამოძიების მიმდინარეობაში.

საგულისხმოა ისიც, რომ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომების ჩატარების შესახებ, ასევე, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ დაზარალებულს ეცნობება მხოლოდ მისი მოთხოვნის შემთხვევაში და ეს არ წარმოადგენს პროკურატურის ვალდებულებას.<sup>74</sup> აღნიშნული რეგულაცია არ არის ეფექტური და ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის შესაძლებლობას, დროულად და გონივრულ ვადებში მიიღოს ინფორმაცია სხდომების ჩატარების შესახებ. ხშირად დაზარალებულს არ აქვს შესაძლებლობა, თვალი მიადევნოს სისხლის სამართალწარმოებას, ვინაიდან მან, უმეტეს შემთხვევაში, არ იცის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა. ზოგჯერ პროკურორები არ აწოდებენ ინფორმაციას დაზარალებულებს იმ მიზეზით, რომ მათ აღნიშნული ინფორმაცია არ მოუთხოვიათ. საგულისხმოა, რომ ნორმის მიზანი უნდა იყოს არა პირის მდგომარეობის გაუარესება, არამედ გაუმჯობესება.

### 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი, დაზარალებულის ინფორმირების უფლება გაუარესდა

<sup>64</sup> იხ. სასამართლო სამედიცინო ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის ინტერვიუ: [http://www.sazogadoeba.ge/index.php?post\\_id=2293](http://www.sazogadoeba.ge/index.php?post_id=2293).

<sup>65</sup> მუქარა.

<sup>66</sup> სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით ან იარაღის გამოყენებით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

<sup>67</sup> განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება.

<sup>68</sup> სამსახურებრივი სიყალბე.

<sup>69</sup> წლის 6 აპრილის განცხადება, №33263.

<sup>70</sup> პროკურატურას არ უხსენებია კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ არ მისცა უფლება დაზარალებულს, გასცნობოდნენ საქმის მასალებს. ასევე, პროკურატურიდან მიღებულ პასუხში არ არის საუბარი იმაზე, რომ საქმის მასალების გაცნობა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს გამოძიების ინტერესებს.

<sup>71</sup> ქალაქ თბილისის პროკურატურის 2015 წლის 17 აპრილის დადგენილება, №13/01-23543.

<sup>72</sup> 2015 წლის 27 აპრილის საჩივარი, №40407.

<sup>73</sup> ქალაქ თბილისის პროკურატურის 2015 წლის 1-ლი მაისის შეტყობინება, №13/01-27946.

<sup>74</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 58-ე მუხლი.

**და დამოკიდებული გახდა მის აქტიურობაზე.** ასევე, აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, გაუგებარი და ბუნდოვანია, რა ფორმით უნდა მოითხოვონ დაზარალებულებმა ეს ინფორმაცია - წერილობითი განცხადებით უნდა მიმართონ პროკურორს თუ სატელეფონო დარეკვაც საკმარისია. ხშირად, დაზარალებულისა ან მისი უფლებამონაცვლისათვის უცნობია ისეთი პროცესუალური საკითხები, როგორებიცაა: პირველი წარდგენის სხდომები, წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომები და მათი ჩატარების ვადები, ამიტომ არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ დაზარალებულმა (დაზარალებულის უფლებამონაცვლემ) ვერ მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპების შესახებ. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ფაქტობრივად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამორიცხავს დანაშაულის მსხვერპლის მონაწილეობას გამოძიების პროცესში და ინფორმირებას სისხლის სამართალწარმოების შესახებ.

#### **4.3. დაზარალებულის დაცვა ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან**

დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დაცვის მიზნით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, მისი დაკითხვა განხორციელდეს ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრისა და მისი ნახვის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლს ძალადობის ცალკეული დეტალების გახსენება ზოგჯერ ძალიან დიდ სულიერ ტკივილს აყენებს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ საკანონმდებლო ნორმის სახით გვექონდეს კონკრეტული რეგულაცია, რომელიც შესაძლებლობას მისცემს დაზარალებულს, ჩვენება მისცეს ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრის გარეშე. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს გამოძიების ეტაპზე მაგისტრატი მოსამართლის წინაშე მოწმის დაკითხვის წესს, როდესაც გამოყენებულია დაცვის სპეციალური ღონისძიება,<sup>75</sup> მაგრამ ეს რეგულაცია არ ქმნის საკმარის გარანტიას დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისაგან დასაცავად. შესაძლოა, დაზარალებულის მიმართ არც იყოს საჭირო დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, მაგრამ დაზარალებულს სურდეს, ჩვენება მისცეს სავარაუდო დამნაშავის დასწრების გარეშე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული წესით მოწმის დაკითხვას, შეიძლება, დაესწროს მეორე მხარეც,<sup>76</sup> თუ არ გვაქვს საგამონაკლისო შემთხვევა.<sup>77</sup> ამდენად, შესაძლოა, ამ რეგულაციის ფარგლებშიც ვერ ავირიდოთ თავიდან დაზარალებულისა და ბრალდებულის შეხვედრა. დაზარალებულის განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდების მიზნით, შეიძლება, გამოყენებული იყოს დაზარალებული-მოწმის დისტანციური დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მართალია, არსებობს ამის შესაბამისი ნორმები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში,<sup>78</sup> თუმცა, ასეთი ზოგადი რეგულაციის მაგივრად, დაზარალებულის, როგორც მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე და უფრო მეტი დაცვის გარანტიის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, ასეთი მითითება გაკეთდეს დაზარალებულის უფლებების ნაწილში. მნიშვნელოვანია, რომ ზოგჯერ იმ დროსაც კი, როდესაც დაზარალებულის წინააღმდეგ ფიზიკური რეპრესიები რეალურად არ ხორციელდება და ობიექტურად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ბრალდებულისა და მისი გარემოცვის მხრიდან მომდინარე მუქარის შედეგად, დაზარალებულს უჩნდება შიშის შეგრძნება, რასაც მისი ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია.<sup>79</sup> შესაბამისად, აუცილებელია, განსაკუთრებით მგრძობიარე დაზარალებულებს ჩვენების მისაცემად ხელსაყრელი ატმოსფერო ჰქონდეთ.

#### **4.4. დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას**

საგულისხმოა, ასევე, საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებლობის საკითხი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებისას დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების საკითხი. ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია მხოლოდ კონსულტაციის გავლისა და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე და არა - დაზარალებულის მოსაზრებების გათვალისწინებაზე. გაურკვეველია, რა მიზანს ემსახურება დაზარალებულთან კონსულტაცია, თუ მას კონკრეტული შედეგის მოტანა დაზარალებულისთვის არ შეუძლია. მართალია, დაზარალებულის უარი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის, მაგრამ პროკურორმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად უნდა ითანამშრომლოს დაზარალებულთან და გაითვალისწინოს მისი პოზიცია.

<sup>75</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 114-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

<sup>76</sup> „დაკითხვა მიმდინარეობს მხარეთა მონაწილეობით“.. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის 1-ლი და მე-9 ნაწილები.

<sup>77</sup> მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირის მოწმის სახით დაკითხვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო ინფორმაციის შესაძლო ფლობის ფაქტი და ეს პირი გამოკითხვაზე უარს ამბობს. ამ შემთხვევაში, დაცვის მხარე მოწმის დაკითხვას არ ესწრება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის მე-2 და მე-10 ნაწილები.

<sup>78</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 243-ე მუხლი, მე-3 ნაწილი.

<sup>79</sup> თუმანიშვილი, გ. „დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში“, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, თბილისი, 69.

2014 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დაზარალებული აღიჭურვა უფლებით, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, წერილობით ან სასამართლო სხდომაზე ზეპირად მოსამართლეს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიაღდა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ჩანაწერი სრულყოფილად არ არეგულირებს პირის დაზარალებულად ცნობის მატერიალურ საფუძვლებს და მხოლოდ ფაქტობრივი ზიანის მიყენების ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას. **მართალია, ზიანი მნიშვნელოვანი ელემენტია პირის დაზარალებულად ცნობისთვის, თუმცა, დანაშაულის მომზადების ან მცდელობის შემთხვევაში, დაზარალებული შეიძლება იყოს ის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.**<sup>80</sup> ბუნდოვანია, რა სამართლებრივი დატვირთვა აქვს იმ ფაქტს, რომ დაზარალებულმა სასამართლოს განუცხადოს მიყენებული ზიანის შესახებ, თუ ამ მექანიზმს არ შეუძლია, დაზარალებულს სასურველი შედეგი მოუტანოს. ზიანის ანაზღაურებას დაზარალებული ვერ მოითხოვს სისხლის სამართლის მოსამართლისგან და მან დამოუკიდებელი სასარჩელო წარმოების გზით უნდა შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი ამგვარი მოთხოვნით. შესაბამისად, კონკრეტული მიზნის არსებობის გარეშე, დაზარალებულის მიერ ამ უფლების გამოყენებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულს არ აქვს უფლება, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება და ეს რეგულაცია შეესაბამება სისხლის სამართლის შეჯიბრებით პროცესს, თუმცა, მიზანშეწონილია, საკანონმდებლო ნორმის სახით მიეთითოს მოსამართლის ვალდებულებაზე, ყურადღება მიაქციოს დაზარალებულის პოზიციას ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მხედველობაში მიიღოს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას. მით უმეტეს ისეთ პირობებში, როდესაც შესაძლებელია, საპროცესო შეთანხმება გაფორმდეს ნებისმიერ დანაშაულთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით, არსებითი განხილვის გარეშე მიღებულ იქნა 3134 გადაწყვეტილება.<sup>81</sup> გამოთხოვნის შედეგად, სასამართლოსგან მივიღეთ მხოლოდ 50 განაჩენი.<sup>82</sup> აქედან 2 განაჩენი იყო მსგავსი, ერთი და იგივე. დარჩენილი 48 გადაწყვეტილებიდან 21 განაჩენი ეხებოდა ისეთ დანაშაულებს, სადაც პოტენციური დაზარალებული შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ყოფილიყო, მიღებულ იქნა არსებითი განხილვის ფარგლებში ან გამოტანილი იყო 2014 წელს. ამდენად, ჩვენ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ასეთი საქმეები და ამ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები არ შეგვისწავლია.<sup>83</sup>

შესწავლილი 27 არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენიდან, მხოლოდ 6 შემთხვევაში მიუთითა მოსამართლემ პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისა და შესაბამისი ოქმის შედგენის შესახებ. დანარჩენ 21 შემთხვევაში, მათ შორის, ცემისა<sup>84</sup> და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების<sup>85</sup> საქმეებზე, მოსამართლემ უგულებელყო დაზარალებულის ინტერესები და განაჩენში ყურადღება არ გაამახვილა (საერთოდ არ აღნიშნა) პროკურორის მიერ კონსულტაციის გავლის ვალდებულებაზე. **აგრეთვე, საგულისხმოა, რომ არცერთ განაჩენში არ არის ნახსენები სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებული დანაწესი და, შესაბამისად, ივარაუდება, რომ დაზარალებულს არ გამოუყენებია უფლება, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მიემართა სასამართლოსთვის და წერილობით ან ზეპირად განეცხადებინა იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას მიაღდა დანაშაულის ჩადენის შედეგად.**

შესაბამისად, დაზარალებულის მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება პრაქტიკაში იშვიათად გამოიყენება და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

<sup>80</sup> სისხლის სამართლის საროცესო კოდექსი, 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი.  
<sup>81</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1-ლი მარტის №1-0148/3782 წერილი.  
<sup>82</sup> საიას 2016 წლის 18 თებერვლის №გ-04/57.16 განცხადება.  
<sup>83</sup> 21 განაჩენი ეხებოდა ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა: ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა (სსკ-ის 260-ე მუხლი); ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება (სსკ-ის 261-ე მუხლი); პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება (სსკ-ის 273-ე მუხლი); თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა (სსკ-ის 3782-ე მუხლი); პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (სსკ-ის 255-ე მუხლი). აღნიშნული 21 განაჩენიდან ერთი საქმე გამოტანილი იყო 2014 წელს, ხოლო 2 განაჩენი - არსებითი განხილვის საფუძველზე, რაც არ ყოფილა ჩვენი მოთხოვნისა და შესწავლის საგანი.  
<sup>84</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.  
<sup>85</sup> სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.



ამასთან, დადებითად უნდა შეფასდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განაჩენი,<sup>86</sup> სადაც სასამართლო ხაზს უსვამს სასჯელის სამართლიანობის სწორად განსაზღვრის აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ სასჯელი უნდა იყოს აუცილებელი და პროპორციული კანონის საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად, რათა დამნაშავემ გააცნობიეროს დანაშაულის ჩადენის საფრთხე. განაჩენში ნათქვამია, რომ სასჯელის მოხდის პერიოდში სასჯელის ხანგრძლივობა და ციხეში გატარებული დრო არის პრევენციის საშუალება. **„ეს დამნაშავეს აძლევს შესაძლებლობას, რომ იფიქროს, თუ რა ზეგავლენა იქონია მისმა ქმედებამ დაზარალებულზე, იფიქროს მის წარსულ შეცდომებზე და შეცვალოს ცხოვრების წესი.“**

ეს არის ერთადერთი განაჩენი, 27 შესწავლილი გადაწყვეტილებიდან, სადაც მოსამართლემ ხაზი გაუსვა დაზარალებულის ინტერესებს, აღნიშნა დანაშაულის მავნე/უარყოფითი შედეგები მსხვერპლის მდგომარეობაზე და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი მიიჩნია სასჯელის დაკისრებისა და მოხდის ერთ-ერთ კომპონენტად.

## 5. დაზარალებულები სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, იმ დანაშაულის საქმეში, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს (დაზარალებულის უფლებამონაცვლე). გამომძიებელს, პროკურორსა და მოსამართლეს უფლება არ აქვთ, უარი უთხრან დაზარალებულის უფლებამონაცვლეს დაზარალებულისათვის მინიჭებული რომელიმე უფლებით სარგებლობაზე.

ისეთი დანაშაულების საქმეებზე, რომლებსაც მსხვერპლის სიცოცხლის ხელყოფა მოჰყვა, გამოძიების ობიექტურობის, ეფექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დასაცავად აუცილებელია, გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრებს მიენიჭოთ დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი.

### მოქალაქე ზ.გ.-ს საქმე

ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა წარმოაჩენს სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე გამოძიების გაჭიანურებასა და არაეფექტურობას. აგრეთვე, დაზარალებულის უფლებამონაცვლისათვის შესაბამისი პროცესუალური სტატუსის მინიჭების პრობლემას.

2008 წლის 6 თებერვალს ქ.თბილისში, ოფთალმოლოგიურ კლინიკა „ნასო“-ში, ნაპოვნი იქნა ორი ადამიანის გვამი. საქმე აღიძრა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას. საგულისხმოა, რომ რამდენიმე თვეში ამ საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნეს ერთ-ერთი გარდაცვლილი პირის მეუღლე, ხოლო მეორე გარდაცვლილის დედა, პროკურატურისადმი არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ამ დრომდე არ არის ცნობილი დაზარალებულის უფლებამონაცვლედ. იმავდროულად, მოქალაქეს არ განემარტა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი. გარდაცვლილის დედის მტკიცებით, მოცემული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება 8 წელია მიმდინარეობს, თუმცა, ამ დრომდე რაიმე კონკრეტული შედეგი სისხლის სამართლის საქმის გამოძიების კუთხით არ დამდგარა და საქმეზე არ არის მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება. გარდაცვლილის დედამ მთავარ პროკურატურაში 2015 წელს შეიტანა განცხადება გაჭიანურებული სისხლის სამართლის საქმის შესწავლის მოთხოვნით. განმცხადებელს 2016 წლის 12 აპრილს ეცნობა, რომ გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, დღეის მდგომარეობით, არ არსებობს კონკრეტული პირის (პირთა) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი.<sup>87</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე განზრახ მკვლელობის მუხლით ბრალი არავის წარდგენია, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს რაიმე ხელშემშლელ გარემოებას გარდაცვლილის ოჯახის წევრის დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობისათვის. ამასთან, პროკურორს აქვს შესაძლებლობა, გააუქმოს დადგენილება პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ, თუ შემდგომში ამის საფუძველი აღარ იარსებებს.<sup>88</sup> იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეზე კვალიფიკაციის შეცვლა მოხდება, აღნიშნული არ უსპობს უფლებას

<sup>86</sup> განაჩენი მიღებულია საქმის არსებითი განხილვის გარეშე. ეს განაჩენი შედის იმ 6 განაჩენთა რიცხვში, სადაც მოსამართლე ხაზს უსვამს დაზარალებულის ინტერესებს.

<sup>87</sup> ქალაქ თბილისის პროკურატურიდან მიღებული 2016 წლის 21 ივნისის №13/01-38569 წერილის მიხედვით, გამოძიება მიმდინარეობს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, თუმცა, ჯერ ვინმეს მიმართ არ დაწყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა და გრძელდება გამოძიება.

<sup>88</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 56-ე მუხლის მე-6 ნაწილი.



დაზარალებულს/დაზარალებულის უფლებამონაცვლეს, ისარგებლოს მისთვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით.<sup>89</sup> დაზარალებულის სტატუსის არარსებობის პირობებში, გარდაცვლილი პირების ოჯახის წევრები ვერ სარგებლობენ იმ მცირედი უფლებებითაც კი, რასაც მათ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ანიჭებს.

## მოქალაქე ბ.მ-ის საქმე

აღნიშნული შემთხვევა მიუთითებს არაეფექტურად და არასრულყოფილად ჩატარებულ გამოძიებაზე, აგრეთვე, დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესების უფლებელყოფაზე.

2015 წლის 25 მაისს გულმკერდის არემი დანის გამოყენებით მოკლეს მოქალაქე ბ.მ. გამოძიებამ ბრალი წაუყენა მოქალაქე რ.ქ-ს, რომელიც სასამართლომ გაამტყუნა და შეუფარდა 13 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. დაზარალებულის უფლებამონაცვლის განმარტებით, საქმის გამოძიება და შემდგომი სასამართლო განხილვა ჩატარდა არაეფექტურად და არასრულყოფილად, ვინაიდან ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ბ.მ-ის ცხედრის ფრჩხილების ანათალში არსებობდა სისხლის კვალი. სისხლის გენეტიკურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ აღებული სისხლის ნიმუშებიდან ერთი შემადგენლობა ეკუთვნოდა მსჯავრდებულ პირს, ხოლო სხვა შემადგენლობა ეკუთვნოდა მამრობითი სქესის უცნობ პიროვნებას. გამოძიებამ აღნიშნული სისხლის ნიმუში შეადარა მოწმე კ.ხ-ის გენეტიკურ შემადგენლობას, რომელმაც დაჭრილი ბ.მ. საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა ნიმუშები არ დაემთხვა. მიუხედავად დაზარალებულის უფლებამონაცვლის არაერთი მცდელობისა, შესაბამისი ექსპერტიზა ჩატარებოდა მოქალაქე ლ.ტ-ს, რომელიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და შემდეგ მოწმის სახით იქნა დაკითხული, გამოძიებამ უარი განაცხადა, ექსპერტიზის წინაშე დაეყენებინა შემთხვევის ერთადერთი თვითმხილველის, მოწმე ლ.შ-ს სისხლის ნიმუშის გარდაცვლილის ფრჩხილის ანათალიდან აღებულ სისხლის ნიმუშთან შედარების საკითხი. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, აღნიშნული სისხლის ნიმუშის იდენტიფიცირება არ მომხდარა. პროკურატურის პასუხის თანახმად, საქმის მასალებით, მოქალაქე ლ.ტ-ს ბრალეულობა არ დასტურდება.

**მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი საქმის მასალების გაცნობის შემდეგ დაზარალებული პროკურორს დასაბუთებული მოთხოვნით მიმართავს დამატებით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედებების ან/და გამოსაკვლევი გარემოებების შესახებ, რაც, მისი აზრით, არ არის განხორციელებული ან/და უკვე ჩატარებული გამოძიების ეტაპზე, ბრალდების მხარემ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და დასაბუთებული/ადეკვატური პასუხი გასცეს დაზარალებული მხარის აღნიშნულ მიმართვას.** წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით მხოლოდ ფორმალური იქნება და არ შეცვლის დაზარალებულის მონაწილეობის ხარისხს სისხლის სამართლის პროცესში. სწორედ ზემოთ ხსენებულმა მაგალითმა აჩვენა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობასა და დაზარალებულის გამოძიების პროცესში ჩართვას ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს.

მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ფარგლებში, გარდაცვლილის ოჯახის წევრების გამოძიების პროცესში მონაწილეობის ხარისხი მთლიანად გამოძიების ორგანოების შეხედულებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, აღნიშნული რეგულაცია და არსებული პრაქტიკა სიცოცხლის ხელყოფის დანაშაულების საქმეების გამოძიებისას არ ქმნის შესაბამის გარანტიებს, რაც საზოგადოებისა და გარდაცვლილის ოჯახის წევრების მხრიდან ნდობის გაჩენის საფუძველი გახდებოდა.

სიცოცხლის ხელყოფის საქმეების გარდა, არასაკმარისი და მწირი დაცვის გარანტიები მოქმედებს დაზარალებულებისთვის არასათანადო მოპყრობის საქმეებზეც.

<sup>89</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება, 22 აპრილი, 2015, №3/8106.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი მიუთითებს არასათანადო მოპყრობის საქმესთან დაკავშირებით არაეფექტური გამოძიების განხორციელებაზე და წარმოაჩენს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსის მინიჭების პრობლემატიკას.

მოქალაქე ა.ო. 2011 წლიდან სასჯელს იხდიდა №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. განმცხადებლის მტკიცებით, სასჯელის მოხდის პერიოდში (2011 წლის ივნისიდან 2012 წლის აგვისტომდე) იგი რამდენჯერმე დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას სასჯელაღსრულების თანამშრომელთა მხრიდან. საგულისხმოა, რომ ა.ო-ს სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით, 2011 წლის 2 ივნისს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებისას მას არანაირი სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა. განმცხადებლის განმარტებით, ცემის შედეგად მას მოტეხილი ჰქონდა ხელის თითები, რის გამოც დღემდე უჭირს მათი გამოყენება. ცემის შედეგად ჩემტვრა ზედა ყბის კბილები. ასევე, ცემის დროს სიგარეტს აწვავდნენ ხელებზე. ა.ო-ს განცხადებით, 2011 წლის ნოემბერში ცემის შედეგად დაუზიანდა ხერხემლის მალეები, რის გამოც, გარკვეული პერიოდის მანძილზე, ვერ ახერხებდა გადაადგილებას და ეტლით სარგებლობდა. 2012 წლის 9 ნოემბერს ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების შედეგების თანახმად კი, ა.ო-ს დაუდგინდა ლუმბალური სპონდილოზი, L4 დისკოს მარჯვენამხრივი პარაცენტრალური პროლაფსი, L5 დისკოს მარჯვენამხრივი მედიოლატრალური პროთრუზიამისი. განმცხადებელი ასევე ასახელებს იმ ადამიანებს, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობაში. გარდა ამისა, ა.ო-ს მიმართ №8 დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებს ადასტურებენ მისი ყოფილი თანასაკნელები. შესაბამისი მასალებით ირკვევა, რომ თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონულ პროკურატურაში აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილითა<sup>90</sup> და 333-ე მუხლის 1-ლი<sup>91</sup> ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ფაქტებზე. გამოძიება, სავარაუდოდ, 2012 წლის ნოემბრის თვეში დაიწყო, თუმცა, ამ დრომდე არცერთი პირი არ არის მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ა.ო. არ არის ცნობილი დაზარალებულად, შესაბამისად, ვერ იღებს ინფორმაციას გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და არ აცნობენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს. საგულისხმოა ისიც, რომ ა.ო-სთვის მიყენებულ დაზიანებებთან დაკავშირებით გამოძიებამ არ ჩაატარა შესაბამისი სამედიცინო ექსპერტიზა, რაც უფრო ეფექტურს გახდიდა გამოძიების მიმდინარეობას. სასამართლო სამედიცინო მტკიცებულებები უმეტესად ძალიან მნიშვნელოვანია არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სასამართლო სამედიცინო მტკიცებულებების დროულად მოპოვების შეუძლებლობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ხელს უწყობს გამოძიების წარუმატებლობას. დროული სამედიცინო შემოწმება შესაძლებლობას მისცემს ექსპერტს, უფრო ნათელი დასკვნა გამოიტანოს დაზიანებების მიყენების დროსა და დაზიანების მიზეზებთან დაკავშირებით.<sup>92</sup>

ასევე, ამ საქმეში არაეფექტური აღმოჩნდა საქართველოს მთავარი პროკურორისადმი 2014 წელს გაგზავნილი განცხადება მოქალაქე ა.ო-ს დაზარალებულად ცნობის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საგულისხმოა, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიების ერთ-ერთი კრიტერიუმია დაზარალებულის მონაწილეობა გამოძიებაში და საზოგადოებრივი კონტროლი.<sup>93</sup> მნიშვნელოვანია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, დაზარალებული არის მოწყვლადი კატეგორია. ამასთან, სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა, რაც მოიცავს ეფექტიან გამოძიებასაც. **ამ უფლების აბსოლუტური ხასიათიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს უფრო მეტი უფლება და სახელმწიფოსგან საჭიროებს უფრო მეტ პრივილეგიას, ვინაიდან აუცილებელია, დაზარალებულმა იცოდეს, რას აკეთებს სახელმწიფო ასეთი საქმეების გამოძიებისა და დანაშაულის ჩამდენი პირების პასუხისგებაში მისაცემად.**<sup>94</sup>

<sup>90</sup> პირის დამცირება ან იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახველ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მას ძლიერ ფიზიკურ, ფსიქიკურ ტკივილს ან მორალურ ტანჯვას აყენებს, ისევეა ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

<sup>91</sup> მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისევეა ჯარიმით, თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ვადით.

<sup>92</sup> Mammadov (Jalaloglu) v. Azerbaijan, no. 34445/05, 11 January, 2007, § 74.

<sup>93</sup> El Masri v. The Former Yugoslav Republic of Macedonia, no. 39630/09, 13 December, 2012, § 142; Case of Husayn (Aby Zubaydah) v. Poland, no. 7511/13, 24 July, 2014, § 489; Tsintsabadze v. Georgia, no. 35403/06, 15 February, 2011, § 76.

<sup>94</sup> ეკატერინე ხუციშვილი, სახალხო დამცველის აპარატი, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის უფროსი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას პრაქტიკაში არაეფექტური შედეგი ექნებოდა და, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან მათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებების დარღვევას თითქმის სრული დაუსჯელობის პირობებში.<sup>95</sup> ამასთან, მსხვერპლის მონაწილეობა ღირებული უნდა იყოს. იგი არ უნდა ატარებდეს არაფრისმოძებ და რიტორიკულ ხასიათს.<sup>96</sup>

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც პიროვნება საპატიმროში მოთავსებულია ფიზიკურად კარგ მდგომარეობაში და შემდგომში აღმოაჩნდება გარკვეული დაზიანებები, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დამაჯერებელი განმარტება, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული დაზიანებები, რისი შეუსრულებლობაც გამოიწვევს კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევას.<sup>97</sup>

**წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე მნიშვნელოვანია დაცვის დამატებითი პროცესუალური მექანიზმების შემოღება, რაც გულისხმობს დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებას.**<sup>98</sup> პრაქტიკაში, ხშირად წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საქმეებზე გამოძიება იწყება და მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე,<sup>99</sup> 333-ე<sup>100</sup> და 144<sup>3</sup>-ე<sup>101</sup> მუხლებით.<sup>102</sup> აღნიშნული ნორმები კი, სასჯელის სპეციფიკისა და სიმძიმისგან გამომდინარე, ვერ ხვდება განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებში. შესაბამისად, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე დაზარალებულები მოკლებულები არიან შესაძლებლობას, პროკურორის შემაჯამებელი გადაწყვეტილებები გაასაჩივრონ სასამართლოში.

#### IV. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა - საერთაშორისო გამოცდილება

##### 1. საერთაშორისო ხედვა დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაზარალებულები სარგებლობენ გარკვეული უფლებებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რაც გულისხმობს დაზარალებულის მიმართ თანაგრძნობით მოპყრობის უფლებას, მათ შორის, ღირსების პატივისცემასა<sup>103</sup> და გამოძიების მიმდინარეობის პროცესში ჩართულობას იმ ხარისხით, რაც აუცილებელია მათი კანონიერი ინტერესების დასაცავად.<sup>104</sup> მათ აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებები და პრობლემები წარმოადგინონ და გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართალწარმოების შესაბამის ეტაპზე ისე, რომ არ იქნეს ხელყოფილი ბრალდებულის უფლებები და ეროვნული სისხლის სამართლის სისტემა.<sup>105</sup>

დანაშაულის მსხვერპლებს უფლება აქვთ, ხელი მიუწვდებოდეთ ინფორმაციაზე სამართალწარმოებაში მათი როლისა და სისხლის სამართლის საქმის ფარგლების, ვადებისა და მიმდინარეობის თაობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს. **კერძოდ, უფლება აქვთ, იცოდნენ სისხლისსამართლებრივი დევნის ან ამგვარ დევნაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ, იცოდნენ გასაჩივრების ან გასაჩივრებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების თაობაზე და ხელი მიუწვდებოდეთ სასამართლოს საქმის მასალებზე.**<sup>106</sup>

##### 2. დანაშაულის მსხვერპლის ცნება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის შესაბამისად, „მსხვერპლი/დაზარალებული“ ნიშნავს პირს/პირებს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაღდა ზიანი, მათ შორის, ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანი, ემოციური ტანჯვა ან ეკონომიკური ზარალი. აგრეთვე, დანაშაულის მსხვერპლებად მოიაზრებიან ის პირები, რომელთა მიმართაც ადგილი ჰქონდა

<sup>95</sup> Dvalishvili v. Georgia, no. 19634/07, 18 December, 2012, §40.

<sup>96</sup> ე. სვანიძე. არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება (ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები), 120.

<sup>97</sup> *DİKME v. TURKEY*, no. 20869/92, 11 July, 2000, § 78; Mammadov (Jalaloglu) v. Azerbaijan, no. 34445/05, 11 January, 2007, §60.

<sup>98</sup> Cf. Council of Europe Committee of Minister Recommendation, 2000 (19), §34.

<sup>99</sup> სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

<sup>100</sup> სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

<sup>101</sup> დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

<sup>102</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2015, 9, 551-553, 562.

<sup>103</sup> Article 4, UN Declaration on Victims of Crime.

<sup>104</sup> *Hugh Jordan v the United Kingdom*, ECtHR judgment of 4 May 2001, appl. no. 24746/94, §109.

<sup>105</sup> Article 6(b), UN Declaration on Victims of Crime; UN ECOSOC, Guidelines on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, UN Doc E/Res/2005/20 (2005), article 21.

<sup>106</sup> *Kelly and Others v. the United Kingdom*, №30054/96, 4 August, 2001, § 118-136; *Gorou v. Greece*, №12686/03, 20 May, 2009, § 36-42.



ფუნდამენტური უფლებების არსებით დარღვევას, რაც დაკავშირებულია წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობით ინკრიმინირებულ ქმედებასთან, მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან.<sup>107</sup> რეზოლუციის მიზნებისთვის, პირი ჩათვლება დანაშაულის მსხვერპლად/დაზარალებულად, მიუხედავად იმისა, დადგენილია თუ არა დანაშაულის ვინაობა, დაპატიმრებული, წარდგენილი და გასამართლებულია თუ არა იგი სასამართლოს მიერ, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ოჯახური ურთიერთობები დაზარალებულსა და დანაშაულის შორის. ტერმინი „მსხვერპლი“ აგრეთვე მოიცავს დაზარალებულის ახლო ნათესავებს ან/და დაზარალებულის კმაყოფაზე მყოფ პირებს.<sup>108</sup>

ევროკავშირის 2012 წლის დირექტივა „დაზარალებულის უფლებების შესახებ“<sup>109</sup> განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის მსხვერპლის სპეციალურ სამართალს უზიარებლობაზე და მიუთითებს, რომ დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ტერორისტული დანაშაულის, დისკრიმინაციულ საფუძველზე განხორციელებული დანაშაულის შედეგად დაზარალებულები<sup>110</sup> და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები,<sup>111</sup> სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი უფლებების სრულყოფილი და ჯეროვანი დაცვის შესაძლებლობით.<sup>112</sup>

### 3. დაზარალებულის უფლებები პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში

სისხლის სამართალწარმოების პროცესში ხშირად სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე არსებული სასწორის ერთ პინაზე დევს სახელმწიფოს ინტერესი - სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება, ხოლო მეორეზე - დაზარალებულის უფლებები და კანონიერი ინტერესები. დასახელებული ორი ინტერესი ერთმანეთს განსაკუთრებით მაშინ უპირისპირდება, როდესაც სახელმწიფო ბრალმდებელი იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან/და დაწყებული დევნის შეწყვეტის თაობაზე. სახელმწიფო ხელისუფლებას გააჩნია ვალდებულება, მიიღოს გადაწყვეტილება ინტერესთა სამართლიანი დაბალანსების პირობებში ისე, რომ არ მოხდეს რომელიმე ინტერესის უსაფუძვლო, გადამეტებული, არამართლზომიერი შეზღუდვა. სამართლიანი ბალანსის მიღწევისათვის, აუცილებელია, დანაშაულის მსხვერპლი სარგებლობდეს უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ქმედითი და ეფექტური საპროცესო-სამართლებრივი გარანტიებით. ამისათვის, დაზარალებულებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ სახელმწიფო ბრალმდებლის გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის თაობაზე. სახელმწიფო ბრალმდებლის გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც იერარქიულად მასზე მაღლა მდგომ თანამდებობის პირთან, აგრეთვე სასამართლო წესით.<sup>113</sup>

ევროკავშირის 2012 წლის დირექტივის მე-40 და 41-ე პარაგრაფებიდან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოებს გაეწიათ რეკომენდაცია, რომ დაზარალებულებს მისცენ შესაძლებლობა, გაასაჩივრონ გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული დევნის შეწყვეტის თაობაზე. ამასთანავე, მითითებულია, რომ გასაჩივრების პროცედურული ასპექტები უნდა იყოს ნათელი, გამჭვირვალე და ზედმეტ ბიუროკრატიულ ელემენტებს მოკლებული, რათა დაზარალებულმა აღნიშნული უფლებით იურიდიული წარმომადგენლის გარეშე ისარგებლოს.<sup>114</sup> იმავდროულად, შეზღუდული ფინანსური რესურსები არ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გადასინჯვის შემაფერხებელი გარემოება.<sup>115</sup>

<sup>107</sup> Declaration of General Assembly of United Nations about Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985, § 1. დანაშაულის მსხვერპლის ცნება ანალოგიურად განიშარტება ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/EU დირექტივის მიზნებისათვის.

<sup>108</sup> იქვე, § 2.

<sup>109</sup> DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA.

<sup>110</sup> დირექტივის მიზნებისათვის ძალადობა დისკრიმინაციულ ნიშანზე დაფუძნებულად ჩათვლება, თუ იგი გენდერული, გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის საფუძველზე ხორციელდება.

<sup>111</sup> დირექტივის მიზნებისათვის, ოჯახური ძალადობის დანაშაულად ჩათვლება ძალადობა, რომლის განმახორციელებელი პირი გახლავთ მსხვერპლის ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლე, ფაქტობრივ თანაცხოვრებაში მყოფი პირი ან მსხვერპლის ოჯახის სხვა წევრი, რომელთანაც მსხვერპლი იზიარებდა ან იზიარებს საერთოდ ოჯახურ მუდრეობას.

<sup>112</sup> DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012, establishing minimum standards on the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, § 14-18.

<sup>113</sup> THE ROLE OF PUBLIC PROSECUTION IN THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM, Recommendation Rec (2000)19, Adopted by the committee of ministers of the council of Europe on 6 October 2000, § 34. მსგავსი გარანტიების არსებობის აუცილებლობაზე მიუთითებს, აგრეთვე: Recommendation №R 85 (11) OF COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS OF THE COMMITTEE TO MEMBER STATES ON THE POSITION OF THE VICTIM IN THE FRAMEWORK OF CRIMINAL LAW AND PROCEDURE, adopted by the Committee of ministers on 28 June 1985 at the 387<sup>th</sup> meeting of the Ministers' Deputies, § B (7).

<sup>114</sup> DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012, establishing minimum standards on the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, § 40.

<sup>115</sup> იქვე, § 41.



საგულისხმოა, რომ ევროკავშირის 2012 წლის დირექტივა „დაზარალებულის უფლებების შესახებ“ განსაზღვრავს, რომელმაც უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანომ უნდა განიხილოს დაზარალებულის საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული დევნის შეწყვეტის თაობაზე. აღნიშნული დირექტივის დანაწესების შესაბამისად, საჩივარი ეროვნულ დონეზე შესაძლებელია განიხილოს უფლებამოსილმა კონკრეტულმა პირმა/ორგანომ, რომელიც არ არის თავდაპირველი გადაწყვეტილების მიმღები პირი/ორგანო. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი გადაწყვეტილება უმაღლესმა პირმა/ორგანომ მიიღო, შესაძლებელია, დანაშაულის მსხვერპლის საჩივარი განიხილოს ამავე ორგანოს წარმომადგენელმა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს თავდაპირველი გადაწყვეტილების მიმღები პირი. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება მიიღოს ობიექტურმა პირმა და დანაშაულის მსხვერპლის პრეტენზიის განხილვის პროცესი წარმართოს მიუკერძოებლად.<sup>116</sup> მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია დანაშაულის მსხვერპლის უფლება, პირველ რიგში, მიმართოს ზემდგომ პროკურორს ქვემდგომი პროკურორის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. ხოლო, თუ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრება დანაშაულის მსხვერპლს არ მიიყვანს სასურველ შედეგამდე, მას შეუძლია, მიმართოს სასამართლოს.<sup>117</sup> ზოგიერთ ქვეყანაში, დანაშაულის მსხვერპლს უფლება აქვს, ზემდგომი პროკურორისათვის გვერდის ავლით, პირდაპირ სასამართლოს მიმართოს. მაგალითად, ისრაელში დანაშაულის მსხვერპლს შესაძლებლობა ეძლევა, პროკურორის გადაწყვეტილებები გასაჩივროს გენერალურ პროკურორთან. საფრანგეთში კი, თუ სასამართლო დაზარალებულის სასარგებლოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, პროკურორი ვალდებულია, საკუთარ თავზე აიღოს დევნის განხორციელება. მექსიკაში დაზარალებულს სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების/ შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება კონსტიტუციურ დონეზე აქვთ გარანტირებული.<sup>118</sup>

#### 4. დაზარალებულის უფლება - იყოს ინფორმირებული სისხლის სამართალწარმოების შესახებ

სისხლის სამართალწარმოების ეტაპზე საქმის მასალების გაცნობისა და სისხლის სამართალწარმოების შესახებ ინფორმაციის მიღება, ერთი მხრივ, წარმოადგენს დაზარალებულის პერსონალურ უფლებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საგამოძიებო ორგანოების კონტროლს და მათ ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დანაშაულის მსხვერპლისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა მათი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად.<sup>119</sup> ამასთან, ინფორმაცია სამართალწარმოების შესახებ, მინიმუმ, უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ცნობებს:

- ინფორმაცია დანაშაულის მსხვერპლის მიერ წარდგენილი საჩივრის შესახებ;
- ინფორმაცია სისხლის სამართალწარმოების ეტაპების შესახებ;
- ინფორმაცია კომპეტენტური სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის/გადაწყვეტილებისა და სასჯელის თაობაზე.<sup>120</sup>

აგრეთვე, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის მიხედვით, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დანაშაულის მსხვერპლმა მიიღოს განახლებული ინფორმაცია საკუთარ საქმესთან დაკავშირებით. ინფორმაცია უნდა გაეგზავნოს შესაბამის მისამართზე ან იმ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომელიც დაზარალებულმა მიაწოდა კომპეტენტურ ორგანოებს. გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც დაზარალებულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, შესაძლებელია, რიგი საპროცესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს პრესის მეშვეობით, უფლებამოსილი ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდის ან მსგავსი საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.<sup>121</sup>

#### შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლი უნდა იყოს ინფორმირებული სისხლის სამართალწარმოების პროცესში

<sup>116</sup> DG JUSTICE GUIDANCE DOCUMENT relates to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, EUROPEAN COMMISSION, DG JUSTICE, December 2013, 31.

<sup>117</sup> Handbook on JUSTICE for VICTIMS, UN ODSSP, Centre for International Crime Prevention, New York, 1999, 38.

<sup>118</sup> DG JUSTICE GUIDANCE DOCUMENT relates to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, EUROPEAN COMMISSION, DG JUSTICE, December 2013, 30

<sup>119</sup> COUNCIL OF EUROPE COMMITTEE OF MINISTERS, Recommendation Rec (2006)8 of the Committee of ministers to member states on assistance to crime victims (Adopted by the Committee of Ministers on 14 June 2006 at the 967<sup>th</sup> meeting of the Ministers' Deputies), § 6.1.

<sup>120</sup> იქვე, § 6.5.

<sup>121</sup> DIRECTIVE 2012/29/EU OF THE EUROPIAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 25 October 2012, establishing minimum standards on the right, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, § 27, 29.

მისი როლისა და უფლებამოსილების ფარგლების თაობაზე, სამართალწარმოების დროისა და პროგრესის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირი წარმოადგენს სერიოზული დანაშაულის მსხვერპლს.<sup>122</sup>

### 5. დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვის მექანიზმები

საგულისხმოა, რომ დანაშაულებრივი ქმედება ზოგჯერ დანაშაულის მსხვერპლს ტოვებს დაუცველს და, ხშირ შემთხვევაში, დაზარალებული პირის საჭიროებს დახმარებას. დანაშაულის მსხვერპლის პიროვნება, რომელიც პირველად ერთვება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. თავდაპირველ ეტაპზე მას, შესაძლებელია, მოუწიოს თანამშრომლობა საგამომიებო ორგანოების წარმომადგენლებთან, შემდეგ იურისტებთან, საბოლოოდ კი - სასამართლოს წინაშე წარდგომა. დაზარალებულისათვის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი დამაბნეველია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ამ პროცესის მიღმა რჩება.<sup>123</sup> ამიტომ, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მონაწილეობა, შესაძლებელია, დაზარალებულის მეორადი ვიქტიმიზაციის საფუძველი გახდეს.

ევროსაბჭოსა და ევროპის პარლამენტის 2012/26/EU დირექტივით განსაზღვრულია კომპლექსური პროცედურული უფლებები და გარანტიები დანაშაულის მსხვერპლისათვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას,<sup>124</sup> რაც დაზარალებულს შესაძლებლობას აძლევს, თავი დაიცვას მოსალოდნელი ზიანისაგან - **სასამართლო პროცესზე თანმხლები პირების არჩევით დაწყებული, სასამართლო სხდომაზე ჩვენების იმგვარი ფორმით მიცემით დამთავრებული, რომელიც უზრუნველყოფს ბრალდებულისაგან დაზარალებულის დაცულობის შეგრძნებას.**<sup>125</sup>

საგულისხმოა, რომ 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/EU დირექტივით დადგენილი წესის შესაბამისად, ევროპის კავშირის წევრი 14 სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის მსხვერპლის განცალკევებას სასამართლოში სპეციალურად მოწყობილ მოსაცდელ ოთახში.<sup>126</sup>

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ ერთობლივ მოსაზრებებში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით, მითითებულია, რომ უმჯობესი იქნება, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატება **სპეციალური დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს ბრალდებულსა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შორის უშუალო კონტაქტის თავიდან აცილებას და მსხვერპლს მიეცემა საშუალება, აირჩიოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განმანხორციელებელი მოხელის სქესი, რომელიც მის საკითხს განიხილავს.**<sup>127</sup> იმავედროულად, მნიშვნელოვანია, რომ **მსხვერპლისთვის ჩვენების ჩამორთმევა მოხდეს სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლად ან სავარაუდო დამნაშავის თანდასწრების გარეშე, შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.**<sup>128</sup>

ამდენად, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რათა თავიდან აიცილოს დაზარალებული პირის ტანჯვა და ხელახალი ვიქტიმიზაცია სისხლის სამართალწარმოების მიმდინარეობისას. დანაშაულის მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაციის საფუძველი შეიძლება იყოს დამნაშავის მიერ დანაშაულის მსხვერპლზე ვიზუალური დაკვირვებაც. **აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოების შენობების შესაბამისი მოწყობა.**

### 6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის შედეგად დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გარდაცვლილის ახლო ნათესავს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სიკვდილის მიზეზის დამდგენ გამოძიებაში, რათა არ მოხდეს კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა. მსხვერპლის ოჯახის წევრის მონაწილეობა გამოძიებაში მათი ლეგიტიმური ინტერესების დაცვას ემსახურება და ამ მოთხოვნის უგულვებელყოფა საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა დაადგინოს.

<sup>122</sup> Declaration of General Assembly of United Nations about Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, 29 November 1985, § 6 (a).

<sup>123</sup> LEGAL PUBLICATIONS PROJECT OF THE NATIONAL CRIME VICTIM LAW INSTITUTE AT LEWIS & CLARK LAW SCHOOL, Victim Law Bulletin, Polyvictims: Victims' Rights Enforcement as a Tool to Mitigate "Secondary Victimization" in the Criminal Justice System, 2013, 2-3.

<sup>124</sup> აგრეთვე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ: RESOLUTION 2011/C187/01 of 10 June 2011 OF THE COUNCIL OF EUROPEAN UNION on a Roadmap for strengthening the rights and protection of victims, in particular in criminal proceedings.

<sup>125</sup> European Union Agency for Fundamental Rights, "Victims of crime in the EU: The extent and nature of support of victims", 2014, 47.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> ევროპის კავშირის საბჭოს „ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ“, ვარშავა/სტრასბურგი, 2014, §82.

<sup>128</sup> იქვე, §40. აგრეთვე, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (CEIS №210). საქართველოს მიერ ხელმოწერილია 2014 წლის 19 ივნისს, §56(1(i)). უფრო დეტალური განხილვისათვის, OSCE/ODIHR-ის მოსაზრება საქართველოში ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ სამართლებრივ ჩარჩოში ცვლილებების პროექტის თაობაზე (17 დეკემბერი, 2013).

საქმეში „სალიმანი საფრანგეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ მეორე მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა, რადგან ახლო ნათესავს უარი ეთქვა საქმის მასალების გაცნობაზე და არ ეცნობა სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ. აგრეთვე, საქმეზე „ოგური თურქეთის წინააღმდეგ“ სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გარდაცვლილის დედას ხელი არ მიუწვდებოდა საქმის მასალებზე. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სიცოცხლის მოსპობის ყველა შემთხვევაში, მსხვერპლის ახლო ნათესავი ჩართული უნდა იყოს გამოძიების პროცესში იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად.<sup>129</sup>

გამოძიების ეფექტურობისათვის აუცილებელია, რომ მიღებული დასკვნები ყველა შესაბამისი ელემენტის ამომწურავ, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს ეყრდნობოდეს.<sup>130</sup> მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ვალდებულება მხოლოდ გამოსაყენებელ ხერხებს მიეკუთვნება და არ არსებობს ბრალდების ან მსჯავრდების აბსოლუტური უფლება, გამოძიების დროს დაშვებული ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც აფერხებს საქმის გარემოებების დადგენასა და პასუხისმგებელი პირების გამოვლენას, ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის მოთხოვნებს.<sup>131</sup>

კონვენციის მე-2 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სასამართლომ სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევები გულმოდგინედ უნდა გამოიძიოს და შეისწავლოს. მხედველობაში უნდა მიიღოს არა მხოლოდ სახელმწიფოს ოფიციალურ წარმომადგენელთა ქმედებები, არამედ საქმის სხვა გარემოებებიც. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლის ხელყოფის საქმეზე, მომჩივნის რეგულარული საჩივრების მიუხედავად, გამოძიება რამდენიმე წელი მიმდინარეობდა და წინ არ მიიწვედა.<sup>132</sup>

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში აღიარა სისხლისსამართლებრივი დევნის მნიშვნელობა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით. სასამართლოს განმარტებით, კონვენციის საფუძველზე, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ სისხლისსამართლებრივ დევნას საეჭვო გარემოებებში პირის გარდაცვალების ან არაადამიანური მოპყრობის გამო.<sup>133</sup>

საქმეში *Khadisov and Tsechoyev* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, *inter alia*, იმ გარემოების გამო, რომ მომჩივნებს არ ჰქონდათ ხელმისაწვდომობა სისხლის სამართლის საქმის მასალებზე და არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი გამოძიების პროგრესის შესახებ. ამასთან, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეფექტურად გაესაჩივრებინათ საგამოძიებო ორგანოების მოქმედებები და უმოქმედობა სასამართლოს წინაშე.<sup>134</sup>

## 7. დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება (რეპარაციები)

ზოგჯერ მხოლოდ დამნაშავის გასამართლება და მისი პასუხისგებაში მიცემა არ ნიშნავს დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილებასა და დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას.<sup>135</sup>

დამნაშავის დასჯის მიუხედავად, მსხვერპლისათვის ასევე აუცილებელია დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

დანაშაულის მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის გამოსწორება უნდა განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აუცილებელია, დაზარალებულთა მიმართ გავრცელდეს ადეკვატური, ეფექტური და სწრაფი რეპარაციები, რომელიც მოიცავს რესტიტუციას, კომპენსაციას, რეაბილიტაციას, პრევენციასა და დაკმაყოფილებას.<sup>136</sup>

<sup>129</sup> *Enukidze and Girvliani v. Georgia*, no.25091/07, 26 April, 2011, § 243.

<sup>130</sup> *Tsintsabadze v. Georgia*, no.35403/06, 15 February, 2011, § 75; 85.

<sup>131</sup> იქვე, § 75.

<sup>132</sup> მოქალაქე ქ.ძ-ს საქმე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, მეოთხე სექცია, 9 სექტემბერი, 2014.

<sup>133</sup> შტეფან ტრექსელი, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009, 60.

<sup>134</sup> *Khadisov and Tsechoyev v. Russia*, no. 21519/02, 5 May, 2009, § 122.

<sup>135</sup> ლალიაშვილი თ., „წარსულის დაძლევის გზები და სამართლებრივი მექანიზმები საქართველოში“, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“, №3, 2013, 56.

<sup>136</sup> რესტიტუცია (Restitution) მიმართულია დაზარალებულის იმ მდგომარეობაში აღდგენისაკენ, რომელიც მას მისი უფლებების დარღვევამდე გააჩნდა; კომპენსაცია (Kompensation, Redress) წარმოადგენს ფინანსური კუთხით მიყენებული იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც მას მიადგა განხორციელებული ქმედებით. აღნიშნული შეიძლება იყოს ფსიქიკური ზიანი, შემოსავლის დაკარგვა სამეურნეო საქმიანობაში, ექიმის ჰონორარი და სხვა; რეაბილიტაცია (Rehabilitation) გულისხმობს დაზარალებულის ღირსებისა და პატივის აღდგენას; პრევენცია (Guarantees of non reparation) არის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ადამიანის უფლებათა მომავალში დაცვისაკენ;



ევროსაბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/80/EC დირექტივა წევრ სახელმწიფოებს უწევს რეკომენდაციას, ეროვნული კანონმდებლობით შექმნან ისეთი მექანიზმები, რომლებიც მისცემს დამნაშავეს სტიმულს, გადაუხადოს დაზარალებულს შესაბამისი ადეკვატური კომპენსაცია. მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ფაქტი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც დადებითი ელემენტი, რაც შეიძლება დამნაშავეს სასარგებლოდ გამოყენებული იყოს აღკვეთის ღონისძიებისა და სასჯელის შეფარდებისას ან ვადამდე ადრე გათავისუფლებისას.<sup>137</sup>

**დანაშაულის მსხვერპლს, უმრავლეს შემთხვევაში, არ აქვს შესაძლებლობა, კომპენსაცია მიიღოს დამნაშავესგან, რადგან ამ უკანასკნელს, შესაძლოა, არ ჰქონდეს კომპენსაციისათვის საჭირო მატერიალური საშუალებები, ან სახელმწიფომ ვერ შეძლოს, წარადგინოს სავარაუდო დამნაშავე სასამართლოს წინაშე.<sup>138</sup> ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მსგავს შემთხვევებში დაზარალებულის დაკმაყოფილებისა და დარღვეული უფლების აღდგენაში სახელმწიფომ მიიღოს მონაწილეობა. კერძოდ, როდესაც კომპენსაცია სრულად არ არის ხელმისაწვდომი დაზარალებულისათვის დამნაშავესგან ან სხვა წყაროებიდან, სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფას მსხვერპლისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის, რომელმაც მიიღო ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. კერძოდ, იმ პირის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის, რომელიც გარდაიცვალა ან ფიზიკურად თუ ფსიქიკურად ქმედუვნარო გახდა ვიქტიმიზაციის გამო.<sup>139</sup>**

## V. დაზარალებულის უფლებები აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში დაზარალებულისათვის შეზღუდული უფლებების არსებობას ხშირად სისხლის სამართლის შეჯიბრებითი სისტემის არსებობით ხსნიან, რომლის ფარგლებშიც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი შესაძლებლობებითა და უფლებამოსილებებით.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს სისხლის სამართლის შეჯიბრებითი მოდელი, თუმცა, დაზარალებულის უფლებები აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო სამართალწარმოებაში გაცილებით ფართოა და კანონმდებლობაც უფრო მეტად კონკრეტიზებული.

აშშ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულ პირს აქვს შემდეგი უფლებები:<sup>140</sup>

1. სარგებლობდეს სავარაუდო ბრალდებულისაგან დაცულობის გონივრული მექანიზმებით;<sup>141</sup>
2. მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი სასამართლო მოსმენის, ბრალდებულის საპატიმრო დაწესებულებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების, სამართალდამრღვევი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ან საპატიმრო დაწესებულებიდან გაქცევის თაობაზე;
3. დასწრების უფლება არ იყოს გამორიცხული ნებისმიერი სასამართლო სხდომიდან.<sup>142</sup>
4. გონივრულ ფარგლებში მოისმინონ მისი პოზიცია ნებისმიერ სასამართლო პროცესზე საქალაქო სასამართლოში, მათ შორის, ბრალდებულის გათავისუფლების სხდომაზე, აგრეთვე, საპროცესო შეთანხმების, სასჯელის დანიშვნის და ბრალდებულის პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების სხდომაზე;

---

დაკმაყოფილება (Satisfaction) გულისხმობს ეფექტური ქმედებების განხორციელებას დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთისათვის, ფაქტების სრული და ადეკვატური შემოწმება, საჯაროობის შესაბამისი ხარისხით უზრუნველყოფა, დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით. *ib. Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Right Law and Serious Violation of International Humanitarian Law, Adopted and proclaimed by General Assembly resolution 60/147 of 16 December 2005, § 9.*

<sup>137</sup> DIRECTIVE 2004/80/EC victims of 29 April 2004 of THE COUNCIL OF THE EUROPEAN UNION on relationg to compensation to crime victims, § 37.

<sup>138</sup> იქვე, § 10.

<sup>139</sup> „დანაშაულებრივი ქმედებების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია, § 12 (a).

<sup>140</sup> U.S. Code of Criminal Procedure, Title 18, Part II, chapter 237, § 3771.

<sup>141</sup> უფლება გონივრულ დაცვაზე ეხება დანაშაულის მსხვერპლის უფლებას, დაცული იყოს სავარაუდო დამნაშავეს ქმედებისაგან. აღნიშნული უფლება, როგორც წესი, აშშ-ში კონსტიტუციურ და საკანონმდებლო დონეზეა გარანტირებული, რათა დანაშაულის მსხვერპლის ფიზიკური და ფსიქიკური უსაფრთხოება, ემოციური ჯანმრთელობა შესაბამისი დაცვის გარანტიებით იყოს უზრუნველყოფილი. ზოგიერთ შტატში დანაშაულის მსხვერპლისათვის გარანტირებულია ინფორმაციის ან/და ცნობის მიღების შესაძლებლობა, რათა დაზარალებულმა უზრუნველყოს საკუთარი თავის შესაბამისი დაცვა. მაგალითად, აღნიშნული უფლება ავალდებულებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, მიაწოდონ ინფორმაცია დანაშაულის მსხვერპლს: სავარაუდო დამნაშავეს გიაროს სანაცვლოდ პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე, წინასასამართლო სხდომამდე პირის გათავისუფლების, საპატიმრო დაწესებულებიდან პირობით ან დროებით გათავისუფლების, დამნაშავეს ვადაზე ადრე გათავისუფლების, საბოლოო გათავისუფლებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო საპატიმრო დაწესებულებიდან დამნაშავეს გამოშვების თაობაზე. შტატების უმრავლესობაში, აღნიშნული ტიპის ინფორმაციის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლის ინფორმირება საპატიმრო დაწესებულებიდან დამნაშავეს გაქცევის შესახებ.

<sup>142</sup> დასწრების უფლება მოიცავს სისხლის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე დასწრების შესაძლებლობას. აგრეთვე, ნებისმიერი სტადიის სასამართლო განხილვისა და სასჯელის შეფარდების სხდომებზე დასწრების უფლებას.

5. ჰქონდეს გონივრული შესაძლებლობა, გაიაროს კონსულტაცია ადვოკატთან, როდესაც დანაშაულის განმახორციელებელ პირს წარმოადგენს სახელმწიფო;
6. ჰქონდეს უფლება სრულ და დროულ რესტიტუციაზე;
7. ჰქონდეს უფლება, შემჭიდროებულ ვადებში იყოს განხილული მისი საქმე - საქმის განხილვის არაგონივრული გახანგრძლივებისაგან დაცვის უფლება;
8. მოეპყრონ სამართლიანად და პატივი სცენ მის ღირსებასა და პირად ცხოვრებას;
9. დროულად იყოს ინფორმირებული ნებისმიერი საპროცესო შეთანხმების ან გადავადებული დევნის შეთანხმების თაობაზე;
10. იყოს ინფორმირებული მის პროცესუალურ უფლებებსა და თავისუფლებებზე;
11. მიიღოს სამართალწარმოებისას გაკეთებული ანგარიშებისა და ჩანაწერების ასლები;
12. გააჩნია უფლება სამართლებრივი დაცვის მუდმივმოქმედ საშუალებებზე.

უკანასკნელ პერიოდში დაზარალებულის უფლებების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ფედერალური აქტი „დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების შესახებ“,<sup>143</sup> სადაც ნათლად არის მითითებული, რომ დანაშაულის მსხვერპლის „ფართო უფლებები“, რაც გამოხატულია აღნიშნულ სექციაში, წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ უფლებებს, რომლებიც არ ექვემდებარება მათზე უარის თქმას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას შეიძლება ეს სურდეს. აღნიშნული დებულებები პირდაპირ მიმართულია სახელისუფლებო უწყებების მიმართ, რათა დანაშაულის მსხვერპლებს მოეპყრონ პატივისცემით საპროცესო ღონისძიებების განხორციელებისას.<sup>144</sup>

## VI. დასკვნა და რეკომენდაციები

ამდენად, წარმოდგენილი ანგარიში ცხადყოფს და გამოკვეთს იმ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ფიქსირდება დაზარალებულის უფლებების დაცვისა და პატივისცემის კუთხით.

სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო უწყებები ზოგჯერ მნიშვნელოვანი ხარვეზებით მოქმედებენ დაზარალებულის ინტერესებისა და უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

2014 წელს განხორციელებული ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულის უფლებების გაუმჯობესების კუთხით ნამდვილად წინგადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება პრაქტიკული და საკანონმდებლო პრობლემები. როგორც კვლევამ აჩვენა, ზოგჯერ ადგილი აქვს პირისთვის დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის პროცესუალური სტატუსის მინიჭების გაჭიანურებას. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას სიცოცხლის ხელყოფისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. გარდა ამისა, ზოგჯერ დაზარალებულს, სტატუსის მინიჭების მიუხედავად, არ აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მიიღოს მათი ასლები. აღნიშნული კი, როგორც პრაქტიკული, ისე საკანონმდებლო ხარვეზებით არის განპირობებული.

საყურადღებოა, რომ დაზარალებულს არ აქვს შესაძლებლობა, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებთან დაკავშირებით პროკურორის მიერ მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში და იდავოს მის კანონიერებაზე. ასევე, მნიშვნელოვან ხარვეზად რჩება დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიღება სასამართლოს ხდომის თარიღებთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნული ვალდებულება პროკურორს არ გააჩნია და დიდია იმის ალბათობა, რომ დაზარალებულებმა ვერ განსაზღვრონ მათი ჩატარების ზუსტი დრო, თუ როდის უნდა მიმართონ პროკურატურას მოცემული ინფორმაციის მიღების მიზნით. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დაზარალებულის ინტერესების აღნიშვნას საქმის არსებითი განხილვის გარეშე მიღებული განაჩენების გამოტანისას.

აგრეთვე, შეზღუდული ქართული კანონმდებლობის ფარგლებში, გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრების სტატუსი და როლი სისხლის სამართლის პროცესში მთლიანად გამოძიების ორგანოების შეხედულებებზეა დამოკიდებული, რაც ხშირად იწვევს გამოძიების პროცესის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას. ამასთან, ადგილი აქვს გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრების უფლებათა უგულვებლყოფას, რაც საკმარისი საფუძველია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევისთვის. ჩვენ მიერ შესწავლილ საქმეებთან დაკავშირებით, არსებობს გარკვეული ლეგიტიმური კითხვები, რომ გამოძიების პროცესი მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა და მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ყველა გონივრული ზომა არ იყო მიღებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ არ ხდება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და აღრიცხვა, რომელიც სახელმწიფო უწყებებს პრობლემის განზოგადებისა და ხარვეზების იდენტიფიცირების საშუალებას მისცემდა.

<sup>143</sup> CVRA - Criminal Victims' Right Act.

<sup>144</sup> LEGAL PUBLICATIONS PROJECT OF THE NATIONAL CRIME VICTIM LAW INSTITUTE AT LEWIS & CLARK LAW SCHOOL, Victim Law Bulletin, Fundamentals of Victims' rights: A Summary of 12 Common Victims' Rights, 2011, 1.

ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, აუცილებელია, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაუმჯობესების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესაბამისი გარანტიები სისხლის სამართლის პროცესში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის პროცესუალური მდგომარეობის გაუმჯობესება არ შეზღუდავს ბრალდებულის დაცვის შესაძლებლობებს და ხელს არ შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

ამრიგად, სახელმწიფომ, რომელსაც აქვს მონოპოლია დამნაშავეს გასამართლებასა და კანონის ფარგლებში დასჯაზე, მართლმსაჯულების პროცესის განხორციელების დროს არ უნდა დაივიწყოს დაზარალებული და მისი კანონიერი ინტერესი. კერძოდ, მან ხელმისაწვდომი და გასაგები უნდა გახადოს დაზარალებულისათვის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესი და მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, ისარგებლოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული მინიმალური ვალდებულების შეუსრულებლობა და დაზარალებულის ინტერესების უგულვებლყოფა, მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას სისხლის სამართალწარმოებისა და მასში მონაწილე სუბიექტების მიმართ.

## რეკომენდაციები

*ქვემოთ შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება, ვიმედოვნებთ, რომ გააუმჯობესებს ვითარებას დაზარალებულის უფლებების კუთხით და, ასევე, დაიცავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შეჯიბრებითობის პრინციპს.*

### საქართველოს პარლამენტს:

1. შემუშავდეს შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების გაზრდას პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაზარალებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, ყველა კატეგორიის დანაშაულზე სასამართლოში გაასაჩივროს დაზარალებულად ცნობასა და დევნის დაწყებაზე უარის თქმისა ან დევნის/გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილება.
2. საკანონმდებლო ცვლილების მეშვეობით, დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა, მიიღოს სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები სახელმწიფო ხარჯით, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ამასთან, პროკურორის/გამომძიებლის უარი საქმის მასალების ასლების გადაცემაზე უნდა იყოს დასაბუთებული.
3. აუცილებელია, მოხდეს დაზარალებულის ინფორმირება ისეთ მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, საპროცესო შეთანხმების სხდომა, სასჯელის შეფარდებისა და სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო სხდომები. **აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდება უნდა განისაზღვროს, როგორც პროკურორის ვალდებულება. შესაბამისად, უნდა შეიცვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირება, რაც გულისხმობს ზემოთ ხსენებული ინფორმაციის მისაღებად, წინაპირობის სახით, დაზარალებულის მოთხოვნის გაუქმებას.**
4. აუცილებელია, შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის ფორმულირება და დაზარალებულმა ავტომატურად/მისი მხრიდან შეტყობინების გაკეთების გარეშე მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.
5. საკანონმდებლო ცვლილებების სახით, დაზარალებულის უფლებების ნაწილში უნდა განისაზღვროს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი დისტანციური დაკითხვის შესაძლებლობა ან სხვა ალტერნატიული მექანიზმები, ბრალდებულის დასწრების გამორიცხვით. **მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით მგრძობიარე დაზარალებულების დასაცავად, რომლებსაც სასამართლო დარბაზში დამსწრეთა თვალწინ ჩვენების მიცემით ფსიქიკური ტრავმა შეიძლება მიადგეთ, ფართო და ხელმისაწვდომი იყოს მათი დისტანციური დაკითხვის შესაძლებლობები.**
6. საკანონმდებლო ცვლილებების სახით განისაზღვროს შემდეგი რეგულაცია: *თუ დაზარალებულის მითითებას ან წარდგენილ მოსაზრებებს, დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით, არ გაითვალისწინებს პროკურორი, დაასაბუთოს დაზარალებულის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება და წარმოადგინოს შესაბამისი არგუმენტები.*
7. საკანონმდებლო ცვლილებების გზით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, მიეთითოს მოსამართლის ვალდებულებაზე, განიხილოს დაზარალებულის მოსაზრებები



სასჯელის პროპორციულობისა და მიზანშეწონილობის კონტექსტში. ხოლო შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, არ დამტკიცოს საპროცესო შეთანხმება და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, თუ დაზარალებულის ინტერესები სათანადოდ და ობიექტურად არ არის შეფასებული წარმოდგენილ პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით გათვალისწინებულ რეგულაციას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება.

8. შეიცვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის ფორმულირება. კერძოდ, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, დაზარალებულს უფლება აქვს, სასამართლოს წერილობით ან სასამართლო სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა ან შეიძლება მისდგომოდა დანაშაულის შედეგად.*

### **საქართველოს მთავარ პროკურატურას:**

1. პროკურატურამ იმოქმედოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად და, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, პირს მიანიჭოს დაზარალებულის/დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი გამოძიების საწყის საფეხურზე, რაც ხელს შეუწყობს პირის ბრალეულობის დამტკიცებისათვის მეტი მტკიცებულებების მოძიების შესაძლებლობასა და გამოკვეთს მათი მოპოვების აუცილებლობას. **იმ საქმეებში, სადაც დადგა პირის გარდაცვალება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის უფლებამონაცვლის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე.**
2. პროკურატურამ უზრუნველყოს სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარება სიცოცხლის უფლებისა და არასათანადო მოპყრობის დარღვევასთან დაკავშირებით, არა მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის, არამედ კერძო პირების მონაწილეობის შემთხვევაშიც. უზრუნველყონ ასეთ საქმეებზე დაზარალებული პირები და ნათესავები სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებით.
3. ბრალდების ორგანოებმა ყველა შემთხვევაში დაასაბუთონ გადაწყვეტილება, რა მიზეზით ეუბნებიან უარს დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობაზე და მიუთითონ კონკრეტული საფუძვლები. იმავდროულად, შეზღუდვა უნდა იყოს მიზნის პროპორციული. დაზარალებულისათვის განჭვრეტადი უნდა იყოს საგამოძიებო ორგანოების პოზიცია და უფლების შეზღუდვის საფუძველი.
4. საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აწარმოოს შესაბამისი სტატისტიკა დაზარალებულის მიერ პროკურორის ცალკეული გადაწყვეტილებების ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შემთხვევებსა და დამდგარ შედეგებთან დაკავშირებით, რათა შეფასდეს, რამდენად ხშირი და ეფექტურია დაზარალებულის მხრიდან ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების მექანიზმი.

### **საერთო სასამართლოებს:**

1. საქმის არსებითი განხილვის გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებებში, დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსამართლეებმა მიუთითონ პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისა და ინფორმირების ვალდებულებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2. მოსამართლეებმა მხედველობაში მიიღონ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის გადაუხდელობის ფაქტი გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას.